

**საქართველოს ეროვნული ბანკის
წლიური ანგარიში
1999 წელი**

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საქართველოს 1999 წლის ფინანსური მდგომარეობა და ეკონომიკური განვითარების ძირითადი შედეგები -----	3
1.1. მაკროეკონომიკური ტენდენციები -----	3
მრეწველობა -----	4
სოფლის მეურნეობა -----	7
ინფლაცია -----	10
დასაქმება -----	13
1.2. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური მდგომარეობა -----	16
საქართველოს საგადასმდელო ბალანსი -----	16
საქართველოს საგარეო ვალები -----	19
1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი -----	20
2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1999 წელს განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა -----	25
2.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი მიმართულებები და შედეგები -----	25
მთავრობისა და კომერციული ბანკების დაკრედიტება -----	29
მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები -----	31
2.2. ადგილობრივი საფინანსო ბაზარი -----	32
ფულადი ბაზარი -----	32
ფასიანი ქაღალდების ბაზარი -----	33
სავალუტო ბაზარი -----	35
2.3. სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა -----	37
3. საბანკო საქმიანობის რეგულირება -----	40
3.1. საბანკო სისტემის მდგომარეობა -----	40
3.2. საბანკო საქმიანობის რეგისტრაცია და ლიცენზირება -----	44
3.3. საბანკო ზედამხედველობა -----	47
4. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და პერსონალი -----	50
5. საბანკო სისტემის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება -----	53
6. საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა აუდიტი -----	56
7. საქართველოს საგადასმდელო სისტემის მდგომარეობა -----	58
7.1. საგადასმდელო სისტემის განვითარება და სრულყოფა -----	58
7.2. საემისიო-საკასო სამუშაოების ორგანიზაცია -----	60
8. საქართველოს ეროვნული ბანკის საფინანსო ანგარიშგება -----	65
9. სტატისტიკური მონაცემები -----	85

1. საქართველოს 1999 წლის ფინანსური მდგომარეობა და ეკონომიკური განვითარების ძირითადი შედეგები


1.1. მაკროეკონომიკური ტენდენციები

საანგარიშგებო წელს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეული დადებითი ძვრები იქნა მიღწეული, მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოხერხდა 1998 წელს დაწყებული საბიუჯეტო კრიზისის გადალახვა, რომელმაც გასულ წელს კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

1999 წლის უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ შედეგად უნდა ჩაითვალოს წინა წლის ბოლოს ქვეყანაში წარმოქმნილი სავალუტო სირთულეების შედარებით მოკლე პერიოდში დაძლევა და ლარის კურსის რყევის ვიწრო დიაპაზონში მოქცევა.

1999 წელს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის პირობებში შესაძლებელი გახდა ინფლაციის ზომიერად დაბალი დონის მიღწევა, რამაც მთლიანობაში ხელსაყრელი

გარემო შექმნა ეკონომიკური განვითარებისათვის.



1999 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ საქართველოში 3 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკონომიკის რეალური სექტორის დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება, გარდა მშენებლობისა, რამდენადმე აღემატება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საერთო პარამეტრს. კერძოდ, წინა წელთან შედარებით 1999 წელს მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულება გაზრდილია 5,7 პროცენტით, სოფლის მეურ-

ნეობასა და თევზჭერაში - 5,6 პროცენტით; ტრანსპორტში - 5,4 პროცენტით, კავშირგაბმულობაში - 5,8 პროცენტით და ა.შ. საშუალოსთან შედარებით მაღალია დამატებული ღირებულების მოცულობის ზრდის პარამეტრი მომსახურების დარგებშიც. მაგალითად, წლის განმავლობაში ამ პარამეტრის მატებამ ვაჭრობაში შეადგინა 14,8 პროცენტი, სასტუმროებისა და რესტორნების მიხედვით - 18,1 პროცენტი, საფინანსო შუამავლობაში - 29,5 პროცენტი და ა.შ.

რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურას, 1999 წლის შედეგების მიხედვით აქ რაიმე არსებითი ძვრები არ მომხდარა და იგი შემდეგნაირად გამოიყურება. საანგარიშგებო წელს შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 5543 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან 1564 მლნ ლარის დამატებული ღირებულება ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის მთელი მოცულობის 28,2 პროცენტი შექმნილია სოფლის მეურნეობასა და

თევზჭერაში; 1019 მლნ ლარის (18,4 პროცენტი) - მრეწველობაში (შინამეურნეობებში გადაბრუნებული პროდუქციის ჩათვლით), 510 მლნ ლარის (9,2 პროცენტი) - ტრანსპორტში, 183 მლნ ლარის (2,5 პროცენტი) - კავშირგაბმულობაში, 653 მლნ ლარის (11,8 პროცენტი) - ვაჭრობაში და ა.შ.

მრეწველობა

ქვეყანაში არსებული სიძნელეების მიუხედავად, 1999 წელს სამრეწველო კომპლექსში ჩამოყალიბდა გარკვეული პოზიტიური ტენდენციები. აქციონირებულია ან საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა აქვს მრეწველობის სფეროში მომუშავე თითქმის ყველა საწარმოს. მათი დიდი ნაწილი პრივატიზებულია. გაიზარდა ახალ მაკროეკონომიკურ გარემოსა და სამართლებრივ სივრცეში საწარმოთა დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარი, ჩამოყალიბდა

მეწარმეთა ფენა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური აზროვნების სრულიად ახალი წესი. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის უკვე გავლილია საბაზრო ეკონომიკის პირობებთან ადაპტირების აუცილებელი ეტაპი და ქვეყნის მრეწველობა თანდათანობით მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალის რეალიზებას ახდენს.

საქართველოში სამრეწველო წარმოების მოცულობა 1999 წელს 7,4 პროცენტით გაიზარდა, ქვეყნის მრეწველობაში წარმოებულმა პროდუქციამ და გაწეულმა მომსახურებამ მოქმედ საბითუმო ფასებში კი 963,1 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2978 სამრეწველო საწარმოდან, რომელთა ნახევარზე მეტი შეიქმნა 1995 წლის შემდგომ პერიოდში მცირე და საშუალო საწარმოთა სახით, 1999 წლის დეკემბერში არ მუშაობდა 887 ანუ მოქმედ საწარმოთა 29,8 პროცენტი.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის კვალობაზე გაიზარდა შენატანები ქვეყნის ბიუჯეტში.

მრეწველობის სამინისტროს მონაცემებით მხოლოდ ამ უწყების მიერ კურირებულმა საწარმოებმა 1999 წელს ბიუჯეტში შეიტანეს თითქმის 20 მლნ ლარი, მაშინ, როცა 1998 წელს ბიუჯეტში შეტანილი იყო 13 მლნ ლარი. აღნიშნული საწარმოების მიერ 1999 წელს წარმოებული პროდუქციის 48 პროცენტი (100 მლნ. ლარზე მეტი) გატანილ იქნა საექსპორტოდ, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 1998 წლის მაჩვენებელს. საექსპორტოდ გადაიტვირთა აზოტოვანი მინერალური სასუქები, ფერო-მანგანუმი, სპილენძის კონცენტრატი, ლითონნამზადი, ფოლადის მილები, თვითმფრინავები, ტუმბოები, მცირე სიმძლავრის ელექტროძრავების ტექნოლოგიური დანადგარები, სამკერვალო ნაწარმი, ფეხსაცმელები და სხვ.

1999 წელს მრეწველობაში ფაქტობრივად დასაქმებულთა რიცხვი გაიზარდა 4-5 ათასი კაცით და 45 ათას კაცზე მეტი შეადგინა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის სამრეწველო კომპლექსში რიცხულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო-სიო-

ბრივი ოდენობა შეადგენს 115,7 ათას კაცს, რაც იმას მიუთითებს, რომ საწარმოთა დიდი ნაწილი არასრული დატვირთვით მუშაობს.

1999 წელს მრეწველობის ძირითადი საქმიანობის მიხედვით წარმოებული პროდუქციის მოცულობის (ფაქტობრივ ფასებში) 61 პროცენტი სახელმწიფო სექტორზე მოდის, ხოლო 39 პროცენტი - არასახელმწიფო სექტორზე. 101,2 ათასი მუშაკიდან 57,2 პროცენტი სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული, ხოლო 42,8 პროცენტი - არასახელმწიფო სექტორში.

მრეწველობის პროდუქციის მნიშვნელოვანი სახეობებიდან 1999 წელს გაიზარდა მანგანუმის მადნისა და ბუნებრივი ცეოლითის მოპოვება, ნახშირბადიანი ელექტროფერომანგანუმის, დიზელის საწვავის, მაზუთის, სინთეზური ამონიუმის, მინერალური სასუქების, ქიმიური ძაფისა და ბოჭკოს, ტელევიზორების, ფეხსაცმლის, ცემენტის, ცხიმოვანი ყველის, ცქრიალა ღვინის (შამპანურის), არყისა და ლიქიორ-არყის ნაწარმის,

ლუდის, სასკოლო რვეულების, ელექტროუთოების, ფაიფურ-ქაშა-ნურისა და მოჭიქული ჭურჭლის, პაპიროსისა და სიგარეტის წარმოება.

შემცირდა ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება, ფოლადის მიღების, ლითონმჭრელი ჩარხების, სატვირთო ავტომობილების, სამშენებლო აგურის, არამადნეული სამშენებლო მასალების, ქსოვილების, წინდისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის, ხორცის, მცენარეული ზეთის, მინერალური წყლების, უალკოჰოლო სასმელების, ნატურალური ჩაის, შპალერის, ლაქსაღებავი მასალებისა და სხვათა წარმოება.

გარკვეული დადებითი შედეგების მიუხედავად, ქვეყნის სამრეწველო სექტორში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. კერძოდ, დაბალია საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონე, ჭიანურდება მთელი რიგი მსხვილი საწარმოების რესტრუქტურისა და პრივატიზაციის პროცესი; სათანადო ინვესტიციების უქონლობის გამო ვერ ხერხდება ისეთი საწარმოების ამოქ-

მედებაც კი, რომელთაც დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვთ; სამრეწველო საწარმოთა უმეტესობა ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად ამძიმებს წარმოების ფინანსურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებს; ჯერ კიდევ დიდია ფარული ეკონომიკის ხვედრითი წილი, რაც არა მარტო მნიშვნელოვნად ზღუდავს საბიუჯეტო შემოსავლებს, არამედ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში სერიოზულად აფერხებს ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესს.

სოფლის მეურნეობა

აგრარულ სექტორში არსებული პოტენციალის ამოქმედებას დიდად შეუწყობ ხელი უკანასკნელ წლებში ამ სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ტექნიკურმა და ფინანსურმა მხარდაჭერამ.

1999 წელს მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა აგრარული სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაში. კერძოდ, ქვეყანაში საკმარისი ოდენობით იქნა შემოტანილი მაღალმოსავლიანი თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და კარტოფილის სათესლე მასალა, ჯიშიანი კვერცხი და სხვა სანაშენე მასალა, აგრეთვე მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის საშუალება. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის საქმეშიც, რის შედეგადაც შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების რეალური პირობები.

1999 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობამ 2650 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 8 პროცენტით აღემატება 1998 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

საანგარიშო წელს ქვეყანაში აღინიშნა მცენარეული პროდუქტების წარმოების არსებითი ზრდა. კერძოდ,

1999 წელს წარმოებულია 786 ათასი ტონა მარცვლეული, რაც 188,2 ათასი ტონით ანუ 31,5 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. 1998 წელთან შედარებით გაიზარდა აგრეთვე მზესუმზირის (17,2 ათასი ტონით ანუ 75,4 პროცენტით), კარტოფილის (32,2 ათასი ტონით ანუ 9,2 პროცენტით), ბოსტნეულის (80 ათასი ტონით ანუ 27 პროცენტით), ჩაის ხარისხოვანი ფოთლის (12,8 ათასი ტონით ანუ 27 პროცენტით), რძის (26 ათასი ტონით ანუ 4 პროცენტით) და სხვა პროდუქტების წარმოება.

საანგარიშგებო პერიოდში ძირითადად შენარჩუნებულია ის ტენდენციები, რომლებიც უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა მეცხოველეობის განვითარებაში. კერძოდ, 1998 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სულადობა გაიზარდა 1 პროცენტით, ღორისა და ცხვრის სულადობა შესაბამისად 4,7 და 2,8 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში აღინიშნება

ოჯახური მეურნეობების წილის ზრდა. კერძოდ, 1999 წელს მათზე მოდიოდა წარმოებული მარცვლეულის 96 პროცენტი, ბოსტნეულისა და კარტოფილის - 90 პროცენტი, ხილის - 99 პროცენტი, ციტრუსების 98 პროცენტი, ყურძნის - 97 პროცენტი, მეცხოველეობის პროდუქტების - 99 პროცენტი.

აგრარულ სექტორში ჩამოყალიბებულ პოზიტიურ ტენდენციებთან ერთად არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ამ სფეროს განვითარებას, კერძოდ:

- სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დაბალი დონე;
- მოძველებული სატრაქტორო პარკი;
- სათადარიგო ნაწილებისა და სარემონტო მასალების დეფიციტი;
- მიწების სათანადოდ გამოუყენებლობა;
- წვრილ ნაკვეთებად დაქუცმაცებულ და დანაწევრებულ ფართობებზე ხშირ შემთხვევაში

შეუძლებელი ხდება მელიორაციული ღონისძიებების და მექანიზაციის სამუშაოების განხორციელება, მაღალ-მოსავლიანი ჯიშების და ტექნოლოგიების დანერგვა, სწორი თესვ-ბრუნვა და სხვ.

1999 წელს გარკვეული დადებითი ძვრები აღინიშნა კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ცალკეულ დარგებში. კერძოდ, ოფიციალურად აღრიცხული კვების სექტორის 31 უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციიდან წინა წელთან შედარებით ზრდა მიღწეულია 18 დასახელების პროდუქციის წარმოებაში. განსაკუთრებით გაიზარდა შავი ბაიხაო ჩაის, ცქრიალა ღვინის, ბრენდის, პაპიროსისა და სიგარეტის, შაქრის, ლუდის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, სასაქონლო საკვები თევზის და სხვა პროდუქტების წარმოება.

1999 წელს კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში სულ წარმოებულია 242,6 მლნ ლარის პროდუქცია, რაც 5,9 პროცენტით ანუ 15,1 მლნ ლარით ჩამორჩება

წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. აღნიშნული გარდევვა გამოწვეულია პურპროდუქტების წარმოებაში შექმნილი მდგომარეობით, სადაც საანგარიშგებო პერიოდში წარმოებულია 98,9 მლნ. ლარის პროდუქცია ანუ წინა წლის მხოლოდ 69 პროცენტით. თუ არ ჩავთვლით პურპროდუქტების დარგს, კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში წარმოების მოცულობა საანგარიშგებო პერიოდში გაზრდილია 25,5 პროცენტით.

1999 წელს წინა წელთან შედარებით ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოების გადიდებამ განაპირობა შავი ბაიხაო ჩაის გამოშვების გაზრდა 10,3 პროცენტით და 10896,8 ტონა შეადგინა. მაგრამ ამავე დროს შემცირდა მწვანე აგურა ჩაის (4 ტონით) და გრანულირებული და დაფასოებული ჩაის წარმოება (933,6 ტონით), რომლის მთავარი მიზეზი რეალიზაციაში არსებული პრობლემებია.

ღვინის მრეწველობის საწარმოებში 1999 წელს ჩამოსხმული

და რეალიზებულია 1800 ათასი დკლ ღვინო, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 474,6 ათასი დკლ-ით ჩამორჩება. სამომხმარებლო ბაზარზე ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციის შემცირების ძირითადი მიზეზი საგარეო ბაზრებზე დამკვიდრების პრობლემა და ანალოგიური, შედარებით დაბალფასიანი პროდუქციის იმპორტია, რაც უფრო მიმზიდველია დაბალი მყიდველუნარიანობის მქონე მასობრივი მომხმარებლისათვის. ღვინის მრეწველობის საწარმოებში გასულ წელს 1998 წელთან შედარებით გაიზარდა ცქრიალა ღვინოების, არყისა და ლიქიორ-არყის ნაწარმის გამოშვება შესაბამისად 39,7 პროცენტით და 3,3-ჯერ. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ამ პროდუქციის ექსპორტის მხრივაც.


საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა მინერალური წყლების ჩამოსხმა და რეალიზაცია. 1999 წელს ჩამოსხმულია 49 მლნ ბოთლი ანუ 19,3 პროცენტით ნაკლები წინა წელთან შედარებით. ეს

განაპირობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მინერალური წყლების რეალიზაციის არეალის გაფართოების პრობლემამ.

რაც შეეხება კვების პროდუქტების გადამმუშავებელი მრეწველობის ისეთ დარგებს, როგორცაა ხორცის, რძისა და საკონსერვო მრეწველობის დარგები, აქ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩერებულია ან მუშაობს სიმძლავრეთა მინიმალური დატვირთვით. აღნიშნულის გამო, სოფლის მეურნეობის პროდუქციის აბსოლუტური უმეტესობა ქარხნული წესით გადამმუშავების გარეშე ხვდება სამომხმარებლო ბაზარზე, რის გამოც ზარალდება როგორც მომხმარებელი, ისე ნედლეულის მწარმოებელ-გადამმუშავებელი საწარმოები და სახელმწიფო ბიუჯეტი.

ინფლაცია

გასულ წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 110,8 პროცენტით შეადგინა. ინფლაციის დონე თვეში საშუალოდ 0,85 პროცენტი იყო.



1999 წლის განმავლობაში, წინა თვესთან შედარებით ფასების ზრდა აღინიშნა იანვარში (2,6 პროცენტით), თებერვალში (5 პროცენტით), მარტში (1,9 პროცენტით), აპრილში (1,3 პროცენტით). იანვარსა და თებერვალში ზრდა გამოწვეული იყო ძირითადად ხილ-ბოსტნეულის ფასების სეზონური ზრდით და თამბაქოს ნაწარმის გაძვირებით, რაც აქციზური მარკების მომავალ შემოღებასთან დაკავშირებული მოლოდინით იყო გამოწვეული.

მაისში, პირველად წლის დასაწყისიდან, დაფიქსირდა სამომხმარებლო ფასების შემცირება 1,6 პროცენტით. დეფლაცია გაგრძელდა ივნისსა (1,4 პროცენტით) და ივლისშიც (2,1 პროცენტით), რაც ძირითადად

თადად სეზონურობის ფაქტორითა და აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის გამყარებით იყო განპირობებული. იგივე ტენდენცია გაგრძელდა აგვისტოშიც. სამომხმარებლო ფასების სეზონურმა კლებამ დააბალანსა საწვავის გაძვირებით გამოწვეული ფასების ღონის ზრდა. ამიტომ აგვისტოში სამომხმარებლო ფასების ღონე აღარ შეცვლილა.

ზაფხულის დეფლაციის შემდეგ სექტემბერში აღინიშნა ფასების ზრდა 1 პროცენტით, რაც გამოწვეული იყო ხილ-ბოსტნეულზე ფასების თანდათანობითი ზრდით. ოქტომბერში ფასები კვლავ გაიზარდა 0,5 პროცენტით, ხოლო ნოემბერში ინფლაციამ შეადგინა 2,4 პროცენტი, რაც ძირითადად ენერგომემცველების ფასების მკვეთრმა ზრდამ განაპირობა. ქვეყანაში ბენზინის ფასი გაიზარდა 17 პროცენტით, დიზელის საწვავისა - 50 პროცენტით. ამან თავის მხრივ გამოიწვია სატრანსპორტო მომსახურების ტარიფების გაზრდა. კერძოდ, საქალაქთაშორისო ავტობუსით მგზავრობა - 24,4 პრო-

ცენტით, საქალაქო ავტობუსით - 2,3 პროცენტით, ხოლო ტაქსით - 7,5 პროცენტით გაძვირდა.

ნოემბერში წინა თვესთან შედარებით გაძვირდა აგრეთვე თხევადი გაზი (9,3 პროცენტით) და ნავთი (41,8 პროცენტით), რომლებიც მოსახლეობის გათბობის ძირითად საშუალებად რჩება. დეკემბრის თვეში ფასების ზრდა აღინიშნა 0,5 პროცენტით.

შეიცვალა იმ საქონლისა და მომსახურების ფასები, რომლებსაც არეგულირებდა სახელმწიფო. კერძოდ, ელექტროენერჯის სატარიფო მოწესრიგების შესახებ, საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 31 მაისის N1 დადგენილებით 1999 წლის 1 ივნისიდან, ელექტროენერჯის საცალო ტარიფი ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის, მათ შორის მოსახლეობისათვის, გაიზარდა და ნაცვლად არსებული 6 თეთრისა ყოველი კვტ. საათისათვის შეადგინა ქ. თბილისში 9 თეთრი (გაიზარდა 50 პროცენტით), ხოლო საქართველოს

მთელ ტერიტორიაზე (თბილისის გარდა) 8,3 თეთრი (გაიზარდა 38,3 პროცენტით).

აღნიშნული კომისიის განმარტებით, ელექტროენერჯის ფასების ზრდა გამოწვეული იყო აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის ცვლილებით და ელექტროენერჯისა და საწვავის იმპორტის დაბეგვრის რეჟიმის შეცვლით. გარდა ამისა, ქ.თბილისის ელექტრომომარაგების ტარიფის ზრდაზე გავლენა იქონია სააქციო საზოგადოება თელასის პრივატიზაციის ხელშეკრულებით დამტკიცებულმა საინვესტიციო პროგრამის შესაბამისი სატარიფო განაკვეთის შემოღების საჭიროებამ.

1998 წლის ბოლოსა და 1999 წლის დასაწყისში აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის ცვლილებამ გამოიწვია ბუნებრივი გაზის გასაცემი ფასისა და შესაბამისად სარეალიზაციო ფასის გაზრდა, რის შედეგადაც ქ. თბილისის მომხმარებლისათვის 1999 წლის 1 მაისიდან 1000 კუბური მეტრი გაზის ფასი 214 ლარიდან 288 ლარამდე (ანუ 34,6

პროცენტით) გაიზარდა. შემდგომში, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით (27.08.99წ.), 1999 წლის 1 აგვისტოდან ბუნებრივი გაზის ტარიფი ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის ყოველ 1000 კუბურ მეტრზე განისაზღვრა 250 ლარით (შემცირდა 13,2 პროცენტით).

1999 წლის განმავლობაში სასაქონლო პოზიციების მიხედვით ყველაზე მეტად გაძვირდა სიმინდის ფქვილი (37,3 პროცენტით), იმპორტული ფილტრიანი სიგარეტი (30,2 პროცენტით), შებოლილი თევზი (29,8 პროცენტით), ხმელი ლობიო (26,3 პროცენტით), ნიგოზი (22,7 პროცენტით), წიწიბურა (21,3 პროცენტით), ნავთი (2,2-ჯერ), დიზელის საწვავი (2,1-ჯერ), ტელეფონის სააბონენტო გადასახადი (89,8 პროცენტით), ბუნებრივი გაზი (75,9 პროცენტით), ბენზინი (69,9 პროცენტით), თვითმფრინავით (37,1 პროცენტით), საგარეუბნო (32,5 პროცენტით) და საქალაქთაშორისო

(28,2 პროცენტით) ავტობუსით მეზავრობა.

დასაქმება

საქართველოში 1999 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 2402,6 ათას კაცს, მათ შორის ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა - 2079 ათას, ხოლო აღრიცხულ უმუშევართა რაოდენობა - 103,9 ათას კაცს. რეგისტრირებული უმუშევრობის დონემ 4,8 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკაში დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი - 56,5 პროცენტი მოდის სოფლის მეურნეობაზე, მეტყევეობასა და თევზჭერაზე; ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო საქონლის ტექნიკურ მომსახურებაზე - 10,4 პროცენტი; განათლებაზე, კულტურასა და ხელოვნებაზე - 8,5 პროცენტი; მრეწველობაზე - 6,1 პროცენტი; ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე - 4,6 პროცენტი; ტრანსპორტზე, სასაწყობო

მეურნეობასა და კავშირგაბმულობაზე - 4,8 პროცენტი და ა. შ.

სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებული იყო 370 ათასზე მეტი კაცი, რომელთა 60 პროცენტზე მეტი დასაქმებულია ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორში. ამ საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის 51 პროცენტი მოდის ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორზე.

საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაცემებით, 1999 წლის დეკემბრისათვის წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აღრიცხულ სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი 4,3 პროცენტით გაიზარდა და 106,3 ათასი კაცი შეადგინა, რომელთა დიდი უმრავლესობა (96,5 პროცენტი, 102,6 ათასი კაცი) უმუშევარია. აღრიცხული უმუშევრებიდან 55,2 პროცენტი ქალია; უმუშევრების 33,4 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა, ხოლო 20,9 პროცენტი 50 წელს არის გადაცილებული. უმუშევართა სტრუქტურა უმუშევრობის ხანგრ-

ძლივობის მიხედვით ასეთია: უმუშევრები ერთ წლამდე უმუშევართა საერთო რაოდენობის 16 პროცენტია, ერთიდან სამ წლამდე - 36,6 პროცენტი, სამი და მეტი წლის ხანგრძლივობით კი 47,4 პროცენტი.

1999 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით დასაქმების ფონდში 18553 თავისუფალი სამუშაო ადგილი იყო აღრიცხული, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2,4-ჯერ მეტია. თავისუფალი სამუშაო ადგილების განაწილება პროფესიების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა: 43 პროცენტი მუშისაა, 29,1 პროცენტი - სპეციალისტის და 27,9 პროცენტი - უმცროსი მომსახურე პერსონალის.

პოზიტიური ძვრები შეინიშნება უმუშევართა დასაქმებაში. კერძოდ, 1999 წლის დასაწყისიდან დასაქმდა აღრიცხულ უმუშევართა 12,3 პროცენტი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,7-ჯერ მეტია. დასაქმებულთა საერთო რიცხვიდან მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმდა 4,61 ათასი კაცი,

მომსახურების სფეროში - 7,97 ათასი კაცი; სახელმწიფო საკუთრების საწარმოებში დასაქმდა 5,76 ათასი კაცი, კერძოში - 5,44 ათასი კაცი. დასაქმებულთა 53,8 პროცენტი მუშაა, 32,9 პროცენტი - სპეციალისტი, ხოლო 13,3 პროცენტი - უმცროსი მომსახურე პერსონალი.

აღრიცხულ უმუშევართა დასაქმების მიზნით დასაქმების ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა შეიმუშავა ბიზნეს-თრეინინგ ცენტრის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდის სამეწარმეო უნარ-ჩვევების წარმოჩენას და ინტენსიური კონსულტაციების გზით საკუთარი საქმის ორგანიზების ხელშეწყობას. მიღწეულია შეთანხმება რამდენიმე ქართულ საბანკო დაწესებულებასთან, რომლებიც მეწარმეობის დამწყებ უმუშევრებს ფინანსური მხარდაჭერის მიზნით მოემსახურებიან გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტით. ამას გარდა ფონდი თანამშრომლობს უცხოურ და ერთობლივ კომპანიებთან, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში

ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს. ამ პროექტების განხორციელების პირველ ეტაპზე დასაქმების სამსახურის მეშვეობით დასაქმდა 5000-ზე მეტი მაღალკვალი-ფიციური უმუშევარი სპეციალისტი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეებთან და მეწარმეთა გაერთიანებებთან თანამშრომლობის გაღრმავებას აღრიცხული უმუშევრების დასაქმებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის მიზნით. ამ მიმართულებით ფონდი აწყობს ბაზრობებს, მართავს სხვა ერთობლივ ღონისძიებებს.

1999 წელს შენარჩუნებული იყო დასაქმებულთა რიცხოვნობაში თვითდასაქმებულთა შედარებით მაღალი წილი (55 პროცენტი), რაც ძირითადად საანგარიშგებო წლის პირველ ნახევარში საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირებითაა გამოწვეული.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1999 წელს ახლადშექმნილ სამუშაო ადგილებზე მიღებულ იქნა 8

ათასზე მეტი კაცი, რაც ამ პერიოდში საწარმოებსა და ორგანიზაციებში მიღებული მუშაკების 23,2 პროცენტია.


შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად დღის წესრიგში დადგა ქვეყანაში პროფესიული ორიენტაციის და გადამზადების სისტემის ძლიერი ინსტიტუტის ჩამოყალიბების აუცილებლობა პროგრესულ პროფესიებზე უმუშევართა გადამზადებისა და მათი შემდგომი დასაქმების მიზნით. 1999 წელს მომზადება-გადამზადების ცენტრისა და მისი ფილიალების მეშვეობით გადამზადებულ იქნა 1289 კაცი, რომელთა 60 პროცენტზე მეტი უკვე დასაქმებულია.

1999 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვიანობის მოწესრიგების, შემწეობის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების, სამუშაო ძალის ეფექტიანი გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების მიმართულებით.

1.2. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური მდგომარეობა

საქართველოს საგადამხდელო ბალანსი

1999 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 863,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებლის 80,5 პროცენტია. აქედან ექსპორტი 240,7 მლნ დოლარია (შესაბამისად 126,8 პროცენტი), ხოლო იმპორტი - 622,6 მლნ დოლარი (70,5 პროცენტი). ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელმა ბოლო ხუთი წლის მანძილზე ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია და 38,7 პროცენტი შეადგინა (1998 წელს - შესაბამისად 21,5 პროცენტი).



1999 წელს საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 381,8 მლნ აშშ დოლარი ანუ წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1,8-ჯერ ნაკლები შეადგინა.

საანგარიშგებო წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 89 პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტმა 398,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 107 ქვეყნისა და 778,9 მლნ აშშ დოლარისა 1998 წელს. 1999 წელს საქართველოს 1 მლნ აშშ დოლარზე მეტი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 39 ქვეყანასთან, მათ შორისაა: რუსეთი, აშშ, თურქეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი.

გასულ წელს საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 22 ქვეყანასთან 16,8 მლნ აშშ დოლარის დადებითი სავაჭრო ბალანსით, ხოლო 1998 წელს - შესაბამისად 14 ქვეყანასთან 9,4 მლნ აშშ დოლარის დადებითი სავაჭრო ბალანსით. ამასთან, 1 მლნ აშშ დოლარზე მეტი დადებითი სავაჭრო

ბალანსი საქართველოს აქვს მხოლოდ ოთხ ქვეყანასთან, ესენია: კონგო, სირია, სომხეთი და ტაჯიკეთი.

სავაჭრო დეფიციტის 34,5 პროცენტი მოდის დსთ-ს ქვეყნებზე (1998 წელს - 23,1 პროცენტი). ამ ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1999 წელს 347,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (1998 წელთან შედარებით 5,8 პროცენტით ნაკლები), ხოლო დანარჩენ ქვეყნებთან - 515,4 მლნ. აშშ დოლარი (შესაბამისად 26,8 პროცენტით ნაკლები). დსთ-ს ქვეყნებზე მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40,2 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 44,9 პროცენტი და იმპორტის 38,5 პროცენტი (1998 წელს - შესაბამისად 34,4; 55,1 და 30 პროცენტი).

1999 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის (რუსეთი, თურქეთი, აშშ, გერმანია, აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქმენეთი, სომხეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია) წილი მთელ სავაჭრო ბრუნვაში 2,5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 75,5 პროცენტი შეადგინა. უმსხვილეს

პარტნიორებს შორის 1999 წელს გვხვდებოდა დსთ-ს 5 ქვეყანა და მთელი საგაჭრო ბრუნვიდან მათ წილად მოდიოდა 38,9 პროცენტი, 1998 წელს შესაბამისად - დსთ-ს 3 ქვეყანა და 29,5 პროცენტი.

უმსხვილეს საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებში 1999 წელს გვხვდება შავი ლითონების ჯართი - მისი წილი ექსპორტში 9,8 პროცენტს შეადგენს, ფეროშენადნობები (შესაბამისად 8,4 პროცენტი) და საფრენი აპარატები (7,9 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 1999 წელს კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, თუმცა მთელ იმპორტში მისი წილი 1998 წელთან შედარებით 5,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ბუნებრივი აირის წილი 1998 წელთან შედარებით 3,9 პროცენტული პუნქტით, ხოლო სამკურნალო საშუალებების - 2,7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

ექსპორტის გეოგრაფიული სტრუქტურის ანალიზი გვაჩვენებს, რომ თუ გასულ წლებში გასაღების

ძირითად ბაზრად დსთ-ს სივრცე იყო, ამჟამად თანდათან იკვეთება სხვა ბაზრებში შეღწევის პერსპექტივაც. კერძოდ, 1999 წელს დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით მხოლოდ 2 პროცენტით გაიზარდა და 100,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იგი საგრძნობლად - 29,2 მლნ აშშ დოლარით ჩამორჩა შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებში მიწოდებული ექსპორტის მოცულობას. შეინიშნება აგრეთვე გარკვეული ცვლილებები საქართველოს ძირითად საგაჭრო პარტნიორებთან - რუსეთთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან ვაჭრობაში. თუ 1998 წელს რუსეთის ხვედრითი წილი მთლიან საგარეო საგაჭრო ბრუნვაში 15,3 პროცენტს შეადგენდა, 1999 წელს მან 19,8 პროცენტი შეადგინა. გაიზარდა თურქეთის წილიც - 13,1 პროცენტამდე (1,9 პროცენტული პუნქტით), ხოლო აზერბაიჯანის ხვედრითი წილი 1,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

1999 წელს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგია წინა წელთან შედარებით სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს 311,3 მლნ აშშ დოლარით შემცირება. ასევე დადებითი მოვლენაა ისიც, რომ გაიზარდა ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში და თუ 1998 წელს ეს მაჩვენებელი 18,6 პროცენტი იყო, 1999 წელს მან 29,8 პროცენტი შეადგინა.

ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის რაციონალიზაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ინვესტიციების ინტენსიურად მოზიდვას და მათ ხარჯზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების დაფინანსებას.

აღნიშნული ძირითადად ხორციელდებოდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების სესხებითა და გრანტებით, აგრეთვე სახელმწიფო გარანტიების საშუალებით მოზიდული საინვესტიციო რესურსების ხარჯზე,

რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც არ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოს საგარეო ვალები

საქართველოს დაახლოებით 2 მილიარდ აშშ დოლარზე აქვს გაფორმებული საერთაშორისო სასესხო შეთანხმებები. აქედან, 1995 წლიდან ათვისებულია დაახლოებით 1,7 მილიარდი დოლარი. საქართველო პრაქტიკულად მხოლოდ შეღავათიან კრედიტებს იღებს. ესენია ძირითადად 30-40 - წლიანი კრედიტები მომ-სახურების ძალიან დაბალი საპრო-ცენტო განაკვეთით (როგორც წესი ერთ პროცენტამდე) და 8-10 - წლიანი შეღავათიანი პერიოდით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა უცხოური კრედიტი, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან არის მიღებული, მიზნობრივია და ძირითადად ეკონომიკის კონკრეტული დარგების რეაბილიტაციასა და განვითარებას ხმარდება. სახელდობრ, საერთაშორისო სავალუტო ფონ-

დისაგან მიღებული თანხები საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დაფარვას ხმარდება. მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტის ნაწილით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ივსება, მათი უმეტესობა კი ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, სოციალური, კულტურისა და ეკონომიკის სხვა სფეროების რეაბილიტაციის დაფინანსებისათვის გამოიყენება.

მეტად მნიშვნელოვანია გერმანიის მთავრობის შეღავათიანი სესხები, რომლებიც გერმანიის აღმშენებლობის საკრედიტო ბანკის (KfW) მეშვეობით მიიღება, აგრეთვე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტები (EBRD). დაწყებულია სერიოზული ფინანსური თანამშრომლობა იაპონიის მთავრობასთან. იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკის (JBIC) მეშვეობით მნიშვნელოვანი

თანხებია გამოყოფილი ენერგეტიკის ობიექტების რეაბილიტაციისათვის.


საანგარიშგებო წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით გრძელდებოდა საქართველოს საგარეო ვალის მომსახურებასთან და გადახდასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. 1999 წლის დასაწყისისათვის საქართველოს ერიცხებოდა საგარეო ვალი 1864,9 მლნ აშშ დოლარი.

გასული წლის განმავლობაში ათვისებულია 128,1 მლნ აშშ დოლარის ახალი კრედიტები, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა ინსტიტუციონალურ აღმშენებლობას, იურიდიულ რეფორმასა და ენერგეტიკის რეაბილიტაციას.

1.3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც შედგება საქართველოს ცენტრალური ბიუ-

ჯეტისა და საქართველოს სპეციალური სახელმწიფო ფონდებისაგან, 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვრა შემოსავლების ნაწილში, კაპიტალური შემოსავლების ჩათვლით, 922,5 მლნ ლარით. გასული წლის განმავლობაში მისმა ფაქტობრივმა შესრულებამ წინასწარი მონაცემებით 653,9 მლნ ლარი შეადგინა, რაც დაგეგმილთან შედარებით 268,6 მლნ ლარით ნაკლებია და 70,9 პროცენტს შეადგენს.



ხარჯები წინასწარი მონაცემებით განისაზღვრა 862,4 მლნ ლარით. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 208,5 მლნ ლარი, რაც

მთლიანი შიდა პროდუქტის 3,7 პროცენტს შეადგენს.

1999 წლის განმავლობაში დეფიციტის საშინაო დაფინანსების წყაროებით მიღებულ იქნა 137,5 მლნ ლარი, მათ შორის ეროვნული ბანკის სესხის სახით - 97,5 მლნ ლარი; დეფიციტის საგარეო დაფინანსების წყაროები მიღებულია 63,3 მლნ ლარი.

საქართველოს 1999 წლის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა (კაპიტალური შემოსავლების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ბიუჯეტის კანონის დამტკიცებისას) განისაზღვრა 684,9 მლნ ლარით, საიდანაც საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 561,7 მლნ ლარს (შესაბამისად საგადასახადო ინსპექციის გეგმა - 216,2 მლნ ლარს, საბაჟო დეპარტამენტის - 345,5 მლნ ლარს), კაპიტალური შემოსავლები - 60 მლნ ლარს, არასაგადასახადო შემოსავლები - 63,2 მლნ ლარს.

გრანტების ნაწილში კანონის მიხედვით გეგმა განისაზღვრა 86,4

მლნ. ლარით ანუ სულ შემოსავლებისა და გრანტების 1999 წლის გვემა ერთად განისაზღვრა 771,3 მლნ ლარით.

წინასწარი მონაცემებით შემოსავლების ნაწილში ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 455,2 მლნ ლარი ანუ დაგეგმილზე 229,7 მლნ ლარით ნაკლები (66,5%). მათ შორის საგადასახადო ინსპექციის მიერ მობილიზებულ იქნა 202,9 მლნ ლარი, რაც დაგეგმილზე 13,6 მლნ ლარით ნაკლებია (93,8%), საბაჟო დეპარტამენტის მიერ - 210,4 მლნ ლარი, რაც დაგეგმილზე 135,2 მლნ ლარით ნაკლებია (60,9%). არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილში - 20,9 მლნ ლარი ანუ დაგეგმილზე 42,3 მლნ ლარით ნაკლები (33,0%), კაპიტალური შემოსავლების ნაწილში - 21,0 მლნ ლარი ანუ დაგეგმილზე 39,0 მლნ ლარით ნაკლები (35%).

გრანტების ნაწილში შესრულებამ შეადგინა 48,3 მლნ ლარი, რაც დაგეგმილზე 38,1 მლნ ლარით ნაკლებია და დაგეგმილის 55,8 პროცენტს შეადგენს.

სულ შემოსავლებისა და გრანტების ნაწილში შემოსავლებმა 1999 წლის განმავლობაში შეადგინა 481 მლნ ლარი, რაც დაგეგმილზე 290,3 მლნ ლარით ნაკლებია და 62,3 პროცენტს შეადგენს.

საგადასახადო შემოსავლების შეუსრულებლობა ძირითადად საბაჟო შემოსავლებზე მოდის, რაც უმთავრესად განპირობებულია 1999 წლის საპროგნოზო მონაცემებთან შედარებით იმპორტის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირებით, აგრეთვე საბაჟო ადმინისტრირების სისუსტით.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ 1999 წელს გადაჭარბა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს გადასახადების ხაზით 82,3 მლნ ლარით, საიდნაც წინა წელთან შედარებით მეტია ამოღებული აქციზი - 83,1 მლნ ლარით, დღგ - 26,2 მლნ ლარით, საშემოსავლო გადასახადი - 5,7 მლნ ლარით. წინა წლის დონესთან შედარებით შემცირდა შემოსავლები მოგების გადასახადის ხაზით - 0,2 მლნ ლარით, საბაჟო

გადასახადის ხაზით - 32,4 მლნ ლარით. აგრეთვე შემცირდა არასაგადასახადო შემოსავლები 49,7 მლნ ლარით და სხვ.

ბიუჯეტში კონსოლიდირებული სპეციალური სახელმწიფო ფონდების შემოსავლები ვერ შესრულდა მხოლოდ საგზაო ფონდის ხაზით. კერძოდ, 1999 წლის განმავლობაში სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შემოსავლის გეგმა შეადგენდა 112,3 მლნ ლარს. წინასწარი მონაცემებით ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 112,8 მლნ ლარი, რაც დაგეგმილის 100,4 პროცენტია; დასაქმების ფონდის გეგმა შეადგენდა 3,8 მლნ ლარს, შესრულებამ 4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 105,3 პროცენტია; საგზაო ფონდის გეგმა შეადგენდა 35,1 მლნ ლარს, შესრულება კი 33,6 მლნ ლარს, რაც გეგმის 95,7 პროცენტია.

საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის ღონისძიებებში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან ფინანსური რესურსების

მობილიზაციას. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან 1999 წელს სახელმწიფო ბიუჯეტს 60,0 მლნ ლარი, ხოლო მიწის განსახელმწიფოებრიობიდან 8,0 მლნ ლარი უნდა მიეღო. ფაქტობრივად შემოსულმა თანხებმა შესაბამისად 20,9 მლნ ლარი და 0,9 მლნ ლარი შეადგინა. ასეთი მდგომარეობა ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ ძალიან მძიმედ მიმდინარეობდა პრივატიზების პროცესი ელექტროენერგეტიკის სექტორში. ინვესტორთან გასაფორმებელ კონტრაქტებზე მუშაობის დროს თავი იჩინა მთელმა რიგმა პრობლემებმა, მათ შორის ამ სექტორში არსებულმა სავალი ურთიერთობებმა, რომელთა მოწესრიგებასაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა ხელის მოწერა აშშ-ს კომპანია ეი-ი-ეს-თან ამ კომპანიისათვის ჰიდროელექტროსადგურების ხრამი-1 და ხრამი-2-ის 25 წლით მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებაზე.

გარკვეული შემოსავლების მიღების წყაროდ განიხილება გაცემული კრედიტების დაბრუნება, რომლის ხარჯზეც 1999 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 15,1 მლნ ლარის მიღება იყო ნაგარაუდვეი. ფაქტობრივად მიღებულია 2,5 მლნ ლარი. ასეთი დიდი გარღვევა ძირითადად ენერგეტიკის სფეროში გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობითაა გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სახელმწიფოს წინაშე დიდი მოცულობის ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების არსებობამ შეაფერხა ელექტროენერგეტიკის ობიექტების პრივატიზების პროცესი, რადგან ძნელია ისეთი ინვესტორის გამონახვა, რომელიც ელექტროენერჯის საფასურის სრულად ამოუღებლობის პირობებში იკისრებდა ამა თუ იმ ობიექტზე რიცხული ყველა კრედიტორული დავალიანების დაფარვასაც.

დეფიციტის დაფინანსების წყაროებში არსებულმა მნიშვნელოვანმა გარღვევამ განაპირობა

სერიოზული დავალიანების წარმოშობა. ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებაში განსაკუთრებით პრობლემატურია ის, რომ დავალიანებები გაიზარდა დაცულ მუხლებში და ვერ მოხერხდა 1998 წლიდან გადმოტანილი გაუცემელი ხელფასებისა და პენსიების გასტუმრება. საანგარიშგებო წელს მუშამოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 100 მლნ ლარი, საიდანაც დაფინანსდა მხოლოდ 72,6 მლნ ლარი, რაც გეგმის 72,6 პროცენტს შეადგენს; ლტოლვილთა შემწეობისა და სხვა დახმარების სახით დაგეგმილი 57,7 მილიონი ლარის ნაცვლად გაიცა 54,4 მილიონი ლარი; ტერიტორიული ერთეულების ტრანსფერის მუხლით გეგმით გათვალისწინებული 43,2 მილიონი ლარიდან გაცემულია 36,2 მილიონი ლარი.

შექმნილი ფინანსური სიძნელების გამო 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში ინვესტიციური ხა-

სიათის ხარჯების ხვედრითი წილი ძალიან უმნიშვნელო იყო. ასევე ძალიან დაბალია ამ ხარჯების ფაქტობრივი დაფინანსების პროცენტიც.

ამრიგად, 1999 წლის საბიუჯეტო წელი მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გამოდგა. ქვეყნის ეკონომიკასა და საფინანსო სექტორში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაამძაფრა წინა წელს დაწყებული საბიუჯეტო კრიზისი. ბიუჯეტის ქრონიკულად შეუსრულებლობის ტენდენციის გაძ-

ლიერებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა სოციალური სფეროსა და მაკროეკონომიკური გარემოს გაჯანსაღებისათვის მთავრობის რეფორმატორული ღონისძიებების წარმატებით განხორციელება.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1999 წელს განხორციელებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

2.1. ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითადი მიმართულებები და შედეგები

საქართველოს ეროვნული ბანკი 1999 წელს საქმიანობას წარმართავდა საქართველოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ქვეყნის ხელისუფლების მიერ შეთანხმებული საფინანსო პროგრამის გათვალისწინებით.

საანგარიშგებო წელს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას საფუძვლად დაედო მაკროეკო-

ნომიკური წონასწორობის აღდგენის სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას ინფლაციის კონტროლისა და გაცვლითი კურსის ოპტიმიზაციის პირობებში. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი გასული წლების ანალოგიურად საანგარიშგებო წლის განმავლობაში აგრძელებდა მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

ფულის მიწოდება ხდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა საერთაშორისო აქტივების შემცირების, აგრეთვე წმინდა საშინაო აქტივებისა და საბიუჯეტო სექტორის წმინდა შიდა კრედიტების მოცულობის ზრდის კვალობაზე, რომელთა რაოდენობრივი პარამეტრები განსაზღვრული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან შეთანხმებული საფინანსო პროგრამით.

ლარის მყიდველობითი უნარის შენარჩუნებისა და ეკონომიკის შესაბამისი ფულადი მასით უზრუნველყოფის მიზნით ფულის მიწოდების

კონტროლი ხორციელდებოდა თვეების მიხედვით ფულის რაოდენობრივ ზრდაზე ლიმიტის დადგენით, რომელიც მთლიანად იყო დაცული წლის პირველ ნახევარში.

ამასთან, ქვეყანაში არსებულმა ფისკალურმა კრიზისმა, რასაც დაემატა ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროებიდან სახსრების სრულად მიუღებლობა, აგრეთვე სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების სიმცირე, მნიშვნელოვნად გააუარესა ბიუჯეტის დაცული მუხლების დაფინანსება. შესაბამისად, წლის მეორე ნახევრიდან აღინიშნა ხელფასების, პენსიების, ლტოლვილთა შემწეობებისა და საგარეო ვალების მომსახურების მუხლებით დავალიანების მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც ერთობ უარყოფითი გამოსმაურება პოვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საქართველოს კრედიტორ ქვეყნებში. შექმნილ ვითარებაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, მაის-ივლისში დეფლაციური პროცესებისა და ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის მხედველობაში მიღებით, მიზანშეწონილად ჩათვალა ფინანსთა სამინისტროსათვის საბიუჯეტო წლის განმავლობაში მოკლევადიანი კრედიტების გაცემა, რომლებიც უნდა დაფარულიყო წლის ბოლომდე დაფინანსების საგარეო წყაროებიდან და სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან.

1999 წლის 31 დეკემბრამდე ხსენებული წყაროებიდან თანხების მიუღებლობამ და მოკლევადიანი კრედიტების დაფარვის სხვა ალტერნატიული გზების უქონლობამ განაპირობა საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ეროვნული ბანკის მიმართ წმინდა დავალიანების ზრდის პარამეტრის (15,5 მლნ ლარი) 101,4 მლნ ლარით გაზრდა. საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის მთავრობის წმინდა დავალიანების და

მისი ზრდის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შესაბამისად შეადგინა 695 მლნ ლარი (საქართველოს ეროვნული ბანკის 1998 წლის ბალანსის დეფიციტის დასაფარავად 70,3 მლნ ლარის ოდენობით გადაცემული სავალო ვალდებულებების ჩათვლით, რომელიც აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ეროვნული ბანკის წმინდა მოგების ანგარიშით 2000 წლის მარტის ბოლოს შემცირდა 28,1 მლნ ლარამდე) და 116,8 მლნ ლარი, რაც შესაბამისად 101,4 მლნ ლარით და 101,3 მლნ ლარით აღემატება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ პროგრამულ მაჩვენებელს. საფინანსო პროგრამით გათვალისწინებულ მაჩვენებელთან შედარებით მთავრობის წმინდა დავალიანებისა და სხვა წმინდა აქტივების ფაქტობრივი მაჩვენებლების ზრდამ შესაბამისად 101,4 მლნ ლარით და 7,5 მლნ ლარით, ბანკების დავალიანების 8,1 მლნ ლარით ნაკლებობის გათვალისწინებით, განაპირობა წმინდა საშინაო აქტივების ფაქტობრივი ოდენობის შესაბამის


პროგრამულ მაჩვენებელთან შედარებით მეტობა 100 მლნ ლარით და მისმა მოცულობამ 677,9 მლნ ლარი შეადგინა.

წმინდა საერთაშორისო აქტივები 44,7 მლნ დოლარით აღემატება პროგრამულ მაჩვენებელს. 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მისი ფაქტობრივი ოდენობა იყო უარყოფითი - ვალდებულებების მეტობამ აქტივებზე შეადგინა - 191,4 მლნ აშშ დოლარი, რაც 369,4 მლნ ლარის ეკვივალენტურია. ეს განპირობებულია პროგრამულთან შედარებით უცხოური ვალდებულებების 40,1 მლნ აშშ დოლარით და უცხოური ვალუტის რეზერვის 16,3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებობით, რომელთა ფაქტობრივმა ოდენობამ შესაბამისად შეადგინა 319,9 მლნ აშშ დოლარი და 128,5 მლნ აშშ დოლარი.

უცხოური ვალუტის რეზერვების პროგრამულ მაჩვენებელთან შედარებით 16,3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებობა მთლიანად განპირობებულია ESAF-ის ტრანშის მიუ-

ღებლობით (45 მლნ აშშ დოლარით), რომელიც ნაწილობრივ გადაიფარა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკის მიერ შესყიდული 14 მლნ აშშ დოლარით, სხვადასხვა ვალუტებში განთავსებული რეზერვების აშშ დოლარის მიმართ საკურსო სხვაობით მიღებული 6 მლნ აშშ დოლარითა და სამთავრობო კონვერტაციებით მიღწეული ეკონომიის შედეგად 8 მლნ აშშ დოლარით.

საქართველოს ეროვნული ბანკის აქტივების სტრუქტურულმა ცვლილებამ, კერძოდ, პროგრამულთან შედარებით წმინდა უცხოური და საშინაო აქტივების ზრდამ შესაბამისად 60,5 მლნ ლარით და 100,8 მლნ ლარით გავლენა მოახდინა სარეზერვო ფულის მასის 161,3 მლნ ლარით ზრდაზე კორექტირებულ პროგრამულ მაჩვენებელთან შედარებით და მისმა ოდენობამ 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 308,5 მლნ ლარი შეადგინა.



სარეზერვო ფულის მასის ზრდა პროგრამულთან შედარებით განაპირობა მიმოქცევაში ნაღდი ფულის, ასევე კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე თანხების ზრდამ შესაბამისად 152,3 მლნ ლარით და 12,4 მლნ ლარით, სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე თანხების 3,4 მლნ ლარით შემცირების პირობებში. საანგარიშგებო წელს 1998 წელთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტით, ხოლო სამომხმარებლო ფასების 10,9 პროცენტით ზრდის პირობებში ნაღდი ფული მიმოქცევაში 1999 წლის დასაწყისთან შედარებით 17 პროცენტით გაიზარდა და 259,8 მლნ ლარი შეადგინა. მიმოქცევაში ნაღდი ფულის ინტენსიური ზრდა ხდებოდა საანგარიშგებო წლის იანვარში, რაც

განაპირობა დეკემბერ-იანვარში 1998 წლის დეკემბერში თელასის პრივატიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების ინტენსიურად ხარჯვამ. შემდგომ 3 თვეში აღინიშნება მისი შემცირების ტენდენცია და მარტის ბოლოს მისი ოდენობა გაუტოლდა წლის დასაწყისისთვის არსებულ 221,9 მლნ ლარს. შემდეგ ორ თვეში აღინიშნა კვლავ უმნიშვნელო ზრდა, ივნისში - ასეთივე უმნიშვნელო შემცირება, რასაც წლის მეორე ნახევარში ფინანსთა სამინისტროს მიერ მოკლევადიანი კრედიტების აღების გამო მისი მნიშვნელოვანი ზრდა მოყვა.

მთავრობისა და კომერციული ბანკების დაკრედიტება

საქართველოს ეროვნული ბანკი 1999 წელს ფულის მიწოდებას ახორციელებდა ძირითადად მთავრობის დაკრედიტების გზით. სულ წლის განმავლობაში გაცემული 147,2 მლნ ლარის კრედიტიდან 146,7 მლნ ლარი ანუ 99,7% მოდის

მთავრობისათვის გაცემულ კრედიტებზე, ხოლო 0,5 მლნ ლარი, რაც წლის განმავლობაში გაცემული კრედიტების 0,3%-ს შეადგენს, - კომერციულ ბანკებზე.

მთავრობის დაკრედიტება ხდებოდა ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილი ლიმიტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა თურქმენეთის მიმართ ვალის რესტრუქტურის მიზნით, ასევე ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროების დადგენილ გრაფიკში მიუღებლობის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წლის შიგნით დაკრედიტებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საანგარიშგებო წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს ეროვნული ბანკისაგან მიღებული აქვს კრედიტი 146,7 მლნ ლარი, 1,9-ჯერ ნაკლები 1998 წელთან შედარებით, სესხით სარგებლობისათვის წლიური

12%-ის გადახდით, მათ შორის, 97,5 მლნ ლარი გრძელვადიანი სესხი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, ხოლო 49,2 მლნ ლარი - მოკლევადიანი სესხი. მათი გაცემა განაპირობა საგადასახადო შემოსავლების არასრულყოფილად და არარიტმულად მოკრებამ, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული ოდენობით (60 მლნ ლარი) სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად თანხების მიუღებლობამ 39 მლნ ლარის ოდენობით.

2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსთა სამინისტროს 1994 წლიდან ყოველწლიურად გაცემული სესხების ჩათვლით ერიცხება კრედიტი 638,9 მლნ ლარი (არ მოიცავს დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტს 7,1 მლნ ლარის ოდენობით). მათ შორის, საანგარიშგებო წელს განხორციელდა 1994 წელს აღებული სესხების რესტრუქტურისა 18,3 მლნ ლარით 6 წლის ვადით, პირველ-ორ წელიწადს წლიურად 1%-ის

გადახდით, ხოლო შემდგომ წლებში ერთი პუნქტით გადიდებული შესაბამისი წლის ინფლაციის ოდენობით.

არაადეკვატური ფისკალური პოლიტიკის გავლენით საქართველოს ეროვნული ბანკი საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომერციული ბანკების მიმართ არ ასრულებდა ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლს.

წლის განმავლობაში სესხი მხოლოდ ერთხელ გაიწია, 0,5 მლნ ლარის ოდენობით ლომბარდული ოპერაციის განხორციელებით, სესხით სარგებლობისათვის წლიური 17,5 საპროცენტო განაკვეთით.

2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომერციული ბანკების დავალიანება ეროვნული ბანკის მიმართ შეადგენს 1,8 მლნ ლარს, რაც 4,7 მლნ ლარით ნაკლებია წლის დასაწყისთან შედარებით. მისი 72% ფორმირებულია 1998 წლამდე კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხებით წარმოშობილი ვადა-გადაცილებული დავალიანებით და

ერიცხება ლიცენზიამორთმეულ 4 ბანკს.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

1999 წლის განმავლობაში ფულად-საკრედიტო რეგულირების მიზნით კვლავ გამოიყენებოდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, რომლის ნორმაც წლის განმავლობაში უცვლელი იყო და შეადგენდა 16%-ს.

2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე დეპონირებული თანხების ოდენობამ 29,7 მლნ ლარი შეადგინა. ამ მოთხოვნის შესრულება გაუტოლდა მოზიდული სახსრების თანხიდან ნორმით განსაზღვრული თანხის 92,8%-ს. მისი შეუსრულებლობა რამდენიმე კომერციული ბანკის ლიკვიდურობის პრობლემით იყო განპირობებული. ინფლაციისა და გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენით ბანკებისათვის დანაკარგების აცილების და დეპოზიტების

მოზიდვის სტიმულირებისათვის საანგარიშგებო წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა საეკონომიკურ რეზერვების ანგარიშზე რიცხულ ნაშთებზე პროცენტის დარიცხვა წლიურად 10 პროცენტის ოდენობით. პროცენტის დარიცხვა წარმოებდა იმ ბანკების სასარგებლოდ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დადგენილი ნორმის დაცვას.


საანგარიშგებო წლის განმავლობაში მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ანგარიშზე დარიცხული და გადახდილი პროცენტის თანხამ 5,1 მლნ ლარი შეადგინა.

2.2. ადგილობრივი საფინანსო ბაზარი

ფულადი ბაზარი

ბანკების ლიკვიდურობის ძირითადი რეგულატორი საანგარიშგებო წლის განმავლობაში იყო ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონი, ასევე აუქციონის გარეშე

მოქმედი ბანკთაშორისი ბაზარი. საკრედიტო რესურსების აუქციონისგან განსხვავებით, რომელზედაც გარიგება ხორციელდება საკრედიტო რესურსით მხოლოდ ეროვნულ ვალუტით, ბანკთაშორის ბაზარზე საკრედიტო რესურსების ყიდვა-გაყიდვა წარმოებს როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით. აღნიშნულის მიუხედავად, წლის განმავლობაში ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონებზე ბრუნვა რამდენადმე აღემატება ბანკთაშორის ბაზარზე ბრუნვას, რაც აუქციონის წესებიდან გამომდინარე გამყიდველი ბანკების რისკებისგან დაცვითაა განპირობებული.



1999 წლის განმავლობაში ბანკთაშორის საკრედიტო რესურ-

სების აუქციონზე ბრუნვა 31,8 მლნ ლარს შეაგენდა, რაც 17 მლნ ლარით ნაკლებია 1998 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. ამასთან, სხვაობა აღინიშნება ვადიანობის მიხედვით საკრედიტო რესურსების სტრუქტურაშიც. სახელდობრ, საანგარიშგებო წელს 1998 წელთან შედარებით აღინიშნება 7 დღემდე ვადის მქონე საკრედიტო რესურსით ბრუნვის ზრდა 15,9 მლნ ლარით, ხოლო 90 დღემდე რესურსით ბრუნვის 32,9 მლნ ლარით შემცირება. მათმა მოცულობამ წლის განმავლობაში შესაბამისად შეადგინა 29,4 მლნ ლარი და 2,4 მლნ ლარი.

აღნიშნული განაპირობა 1998 წლის ბოლოს ლარის დევალვაციის გავლენით კომერციული ბანკების მიერ აქტივების ძირითადად უცხოური ვალუტით განთავსებამ.

1999 წლის განმავლობაში 7 დღემდე ვადით საკრედიტო რესურსების აუქციონების ჩატარების 50 შესაძლებლობიდან იგი შედგა 41-ჯერ. აუქციონზე გაყიდული 29,4 მლნ ლარიდან 23,8 მლნ ლარი ანუ

გარიგებათა საერთო თანხის 81% იყიდა ეროვნულმა ბანკმა.

7-დან 90 დღემდე ვადით საკრედიტო რესურსების აუქციონების ჩატარების 51 შესაძლებლობიდან აუქციონი შედგა 15-ჯერ. გაყიდული 2,4 მლნ ლარიდან 33,3 პროცენტი ეროვნულმა ბანკმა შეისყიდა.

აუქციონებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები წლის განმავლობაში შემცირების ტენდენციის მქონეა და ბოლო სამი თვის განმავლობაში ვადების მიხედვით რესურსებზე 27-29 პროცენტი განისაზღვრა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი

ქვეყანაში არსებულმა ფისკალურმა კრიზისმა, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე განვითარებულმა კრიზისულმა მოვლენებმა უარყოფითად იმოქმედა მთავრობის ფასიანი ქაღალდებისადმი ინვენსტორების დამოკიდებულებაზე. შესაბამისად გართულდა 1998 წლის ოქტომბერში

შემწყდარი სახაზინო ვალდებულებების აუქციონების აღდგენა.

საქართველოს ეროვნული ბანკის და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, რაც უმთავრესად სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვის და დაფარვის შესახებ დებულებაში, ასევე სხვა ნორმატიულ აქტებში კომერციული ბანკების დასაინტერესებლად გარკვეული სტიმულის მიცემის თაობაზე ცვლილების შეტანით გამოიხატება, შესაძლებელი გახდა 1999 წლის აგვისტოდან სახაზინო ვალდებულებების აუქციონების აღდგენა. საანგარიშგებო წლის განმავლობაში სახაზინო ვალდებულებების აუქციონები 7-ჯერ გაიმართა, გამოშვებულ იქნა 28-დღიანი და 91-დღიანი სახაზინო ვალდებულებები საერთო თანხით 4,8 მლნ ლარის ოდენობით, რომლიდანაც განთავსებულ იქნა 3,9 მლნ ლარი, ანუ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების 81,2%. განთავსებული თანხიდან 2,2 მლნ ლარი ადრე გამოშვებული სახაზინო

ვალდებულებების, ხოლო 1,7 მლნ ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის წყაროა.

სახაზინო ვალდებულებების აუქციონებზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთები საფინანსო ბაზრის სხვა სეგმენტებზე ჩამოყალიბებულ საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით რამდენადმე ნაკლებია და საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთის სიდიდე 14,11%-ს შეადგენს, ხოლო მისი მინიმალური და მაქსიმალური სიდიდე შესაბამისად 12,98% და 15,95%-ია.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის მოედანზე მოწყობილია მეორეულ ბაზარზე ფასიანი ქაღალდებით გარიგებისათვის სავაჭრო სისტემა და შესაბამისად არსებობს ვაჭრობის წესები, იგი არ ფუნქციონირებს, პირველადი ბაზრის მოცულობის სიმცირის გამო.

სავალუტო ბაზარი

საქართველოს შიდასავალუტო ბაზარი სხვა ფინანსურ ბაზრებთან შედარებით მაღალი ლიკვიდურობით გამოირჩევა, რაც განაპირობებს მის აქტიურობას. იგი მოიცავს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟას, ბირჟის მიღმა მოქმედ პირდაპირ ბანკთაშორის ბაზარსა და ბანკებს გარეთ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს.

მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამუშაოები ბანკებს გარეთ მოქმედი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ლეგალიზაციისა და ამ სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში წარმოებულ ოპერაციათა მოცულობის ზუსტი აღრიცხვა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. შესაბამისად შიდასავალუტო ბაზარზე ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მოცულობაში არ არის ასახული ბანკებს გარეთ მოქმედი ვალუტის


გადამცვლელ პუნქტებში განხორციელებული ოპერაციების ოდენობა.

კურსწარმოქმნა შიდასავალუტო ბაზრის ყველა სეგმენტზე თითქმის მთლიანად საბაზრო მექანიზმს ემყარება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1998 წლის 7 დეკემბერს ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა ინტერვენციები აშშ დოლარის მიმართ.

კვლავ მნიშვნელოვანი რჩება თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის როლი შიდასავალუტო ბაზრის კონიუნქტურის ჩამოყალიბებაში. მის წილად მოდიოდა 1999 წელს ოფიციალურ სავალუტო ბაზარზე განხორციელებულ გაყიდვათა 10 პროცენტი.

სავალუტო ბირჟაზე ყოველდღიურად ჩამოყალიბებული კურსი სავალუტო ბაზრის სუბიექტების მიერ მიიჩნევა ძირითად ორიენტირად, რომელზე დაყრდნობითაც ხდება უცხოური ვალუტების მიმართ ლარის კურსის განსაზღვრა სავალუტო ბაზრის სხვა სეგმენტებზე. სავალუტო ბირჟის ბრუნვამ 1999 წელს 76,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საანგარიშგებო წელს, ეროვნულ ბანკს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საერთაოდ არ გაუყიდა უცხოური ვალუტა, პირიქით, 1999 წელს საბირჟო სესიებზე მან 14,5 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, რითაც შეივსო საერთაშორისო რეზერვები. შეიძლება ითქვას, რომ 1999 წელს სავალუტო ბაზარმა შეძლო გამოემუშაებინა ერთგვარი თვითრეგულირების მექანიზმი, რომლის ეფექტიანობაც ეროვნული ბანკის ინტერვენციების გზით პირდაპირი ჩარევის გარეშე ლარის სტაბილური გაცვლითი კურსის შენარჩუნებით გამოიხატა. ამასთან, 1999 წელს სავალუტო ბირჟაზე გამოიკვეთა დაახლოებით 10 მსხვილი კომერციული ბანკი (მარკეთ მექარი), რომლებზეც მოდის ბირჟაზე დადებულ გარიგებათა დიდი ნაწილი.



პირდაპირი ბანკთაშორისი ბაზარი ბრუნვის მოცულობით თითქმის უტოლდება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე განხორციელებულ ოპერაციათა მოცულობას. მის წილად მოდის 1999 წელს ოფიციალურ სავალუტო ბაზარზე განხორციელებულ გაყიდვათა 8-10 პროცენტი. გარიგებათა დარჩენილი ნაწილი უშუალოდ საბანკო დაწესებულებებსა და მათ კლიენტებს (იურიდიულ და ფიზიკურ პირებს) შორის წარმოებს.

ბაზრის პირდაპირი ბანკთაშორისი სეგმენტის ინსტიტუციური სრულყოფის მიზნით 1999 წლის მეორე ნახევარში საქართველოს ეროვნული ბანკისა და თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის


ეგიდით ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებში დამონტაჟდა არასაბირჟო ელექტრონული ვაჭრობის სისტემა, რომელშიც ჩართულია საქართველოს შიდასავალუტო ბაზრის ოპერატორი 15 ძირითადი კომერციული ბანკი. სისტემა საშუალებას აძლევს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს ორგანიზებული სავაჭრო მოედნის (თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა) მიღმა პირდაპირ აწარმოონ გაცვლითი ოპერაციები თავისუფალი განაცხადების გაკეთების მეშვეობით. ამის პარალელურად, ეროვნულ ბანკს საშუალება ეძლევა რეალურ დროში თვალყური ადევნოს არასაბირჟო ბანკთაშორის ბაზარზე გაცვლითი კურსების დინამიკას.

2.3. სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა

ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა 1999 წელს მიზნად ისახავდა ლარის გაცვლითი კურსის

სტაბილურობის შენარჩუნებას თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ დოლარის მიმართ ინტერვენციების გარეშე. ამასთან, ეროვნული ბანკი აშშ დოლარების ჭარბი მიწოდების შემთხვევაში, ახორციელებდა მათ შესყიდვას, რათა თავიდან აეცილებინა ეროვნული ვალუტის კურსის გაუმართლებელი გამყარება, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა ქვეყნისათვის უარყოფითი საგარეო-ეკონომიკური შედეგები, კერძოდ, იმპორტის წახალისება და ექსპორტის შემცირება. არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა იყო 1998 წელს კრიზისის პერიოდში შემცირებული საერთაშორისო რეზერვების აღდგენა ნაწილობრივ მაინც, რაც ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საგარეო წყაროების ნაკლებობის პირობებში, ღია ბაზარზე ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის ყიდვით უნდა განხორციელებულიყო. ჭარბი უცხოური ვალუტის შექენას ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკი ახდენდა იმის გათვალისწინებით, რომ არ მომხდარიყო

მიმოქცევაში ფულის მასის ფორ-
სირებული ზრდა, რომელსაც შეიძ-
ლებოდა ინფლაციური ეფექტი
მოჰყოლოდა.



თავისუფლად მცურავი სა-
კურსო რეჟიმისა და მკაცრი ფულად-
საკრედიტო პოლიტიკის პირობებში
შესაძლებელი გახდა უკვე 1999 წლის
პირველი კვარტალის ბოლოს ლარის
კურსის რყევის ამპლიტუდის
მაქსიმალური შემცირება და შემდეგ
მთელი წლის განმავლობაში ლარის
სტაბილური კურსის შენარჩუნება.

1999 წლის განმავლობაში
საქართველოს ეროვნული ბანკის
სავალუტო სამმართველოს სადი-
ლინგო ოთახი აგრძელებდა საერ-
თაშორისო რეზერვების მართვას
ეროვნული ბანკის ფულად-საკრე-
დიტო კომისიის მიერ განსაზღვრული
მიმართულებებისა და ლიმიტების

ფარგლებში. დილერები რეზერვების
განთავსებას ახდენდნენ ფულადი
ბაზრის ფინანსურ ინსტრუმენტებში,
კერძოდ, ფულადი სახსრების
განთავსება ხორციელდებოდა 3
თვემდე ვადით საბანკო დეპოზიტებში.
საქართველოს ეროვნული ბანკის
კონტრაგენტები იყვნენ ისეთი საბანკო
ინსტიტუტები, როგორებიცაა ტოკიო-
მიცუბიში ბანკი (იაპონია), საერ-
თაშორისო ანგარიშსწორების ბანკი
(ბაზელი, შვეიცარია), ლოიჩე ბანკი
(გერმანია), კომერცბანკი (გერმანია),
კრედიტ სვისი (შვეიცარია), ბანკ
ნაციონალ დე პარი (საფრანგეთი),
იუნინ ბენქ ოფ სვიტცელანდ
(შვეიცარია), აბნ-ამრო (ნიდერ-
ლანდები), სიტი ბანკი (აშშ).

სადეპოზიტო გარიგებებიდან
საპროცენტო შემოსავლის სახით
მიღებულმა თანხებმა 3 მლნ. აშშ
დოლარის ეკვივალენტი შეადგინეს.

1999 წლის 16 აპრილს სა-
ქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ
მიიღო დადგენილება საქართველოს
ეროვნული ბანკის საერთაშორისო
რეზერვების დივერსიფიკაციის შე-

სახებ . ამ დადგენილებით საქართველოს ეროვნული ბანკის დილერებს დაევალებათ სარეზერვო პორტფელის დივერსიფიკაცია ნასესხობის სპეციალური უფლებების (ნსუ) კალათაში შემავალ ვალუტებში. კერძოდ, აშშ დოლარში, ევროში, იაპონურ იენაში და გირვანქა სტერლინგში. ამასთან, თითოეული ვალუტისათვის ფაქტობრივი წონების გადახრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი წონებიდან განისაზღვრა 5%-ით.

საერთაშორისო რეზერვების ასეთი სახის დივერსიფიკაცია რეზერვების მართვის ოპტიმალური ვარიანტია, რომელიც სარეზერვო პორტფელს იცავს, ერთი მხრივ, საერთაშორისო ბაზარზე სავალუტო კურსების არასახარბიელო ცვლილე-

ბისაგან, მეორე მხრივ კი, ხდება ნასესხობათა სპეციალურ უფლებებში დენომინირებული უცხოური ვალდებულებების ოპტიმალური მართვა.

1999 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები განაწილებული იყო შემდეგნაირად: 40,99% - აშშ დოლარი, 27% - ევრო, 19,86% - იაპონური იენა, 12,60% - გირვანქა სტერლინგი. ამავე თარიღისათვის საერთაშორისო რეზერვების მოცულობა შეადგენდა 128,5 მლნ აშშ დოლარს.


3. საბანკო საქმიანობის რეგულირება

3.1. საბანკო სისტემის მდგომარეობა

საქართველოს ეროვნული ბანკი 1999 წელს აგრძელებდა სამუშაოებს, რომლებიც მიმართული იყო მდგრადი საბანკო სისტემის დასამკვიდრებლად. ეს სამუშაოები ითვალისწინებდა პრუდენციული ნორმების სრულყოფით კომერციული ბანკების შერწყმა-გაერთიანების პროცესის მართვას და საბანკო ზედამხედველობის საქმიანობის გაუმჯობესებას.

1998 წლის ბოლოს ქვეყანაში არსებული ფისკალური და სავალუტო კრიზისის მიუხედავად, საბანკო სისტემამ საანგარიშგებო წლის განმავლობაში შეძლო პოზიციების გამყარება და პოზიტიური შედეგების მიღწევა, რაც, უპირველეს ყოვლისა, საწესდებო და მთლიანი კაპიტალის

ზრდითაა განპირობებული. კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 34,4 მლნ ლარით და შეადგინა 150,8 მლნ ლარი. ამავე პერიოდისათვის კომერციული ბანკების მთლიანი კაპიტალი გაიზარდა 46,5 მლნ. ლარით და 179,8 მლნ ლარი შეადგინა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთლიანი კაპიტალის ზრდის ტემპი უსწრებს საწესდებო კაპიტალის ზრდას.




კომერციული ბანკების საქმიანობის CAMEL-ის სისტემით ანალიზიდან გამომდინარე, წლის დასაწყისთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა I და II კატეგორიაში მომუშავე ბანკების რაოდენობა. ამასთან, მნიშვნელოვნად

შემცირდა IV, V კატეგორიებს მიკუთვნებული ბანკების რაოდენობა მათთვის ლიცენზიის ჩამორთმევის ან მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად III კატეგორიისათვის მიკუთვნების გამო.


1999 წლის ბოლოს წლის დასაწყისთან შედარებით აღინიშნება ბანკების საერთო აქტივებში CAMEL-ის სისტემით შეფასებული I და II კატეგორიის ბანკების აქტივების მნიშვნელოვანი ზრდა, რომლის ხვედრითი წილიც საერთო აქტივებში განისაზღვრება 67,3 პროცენტით და 31,8 პუნქტით აღემატება საანგარიშგებო წლის დასაწყისისთვის შესაბამის მაჩვენებელს.

კომერციული ბანკების აქტივები 1999 წლის განმავლობაში 140 მლნ ლარით გაიზარდა, რომლის ნახევარზე მეტი 77 მლნ ლარით კრედიტების ზრდით არის განპირობებული. მნიშვნელოვნად გაიზარდა პორტფელური ინვენსტიციები და სხვა აქტივები. კომერციული ბანკების სესხების პორტფელი ძირითადად უცხოური ვალუტით გაცემული

სესხებით არის ფორმირებული. შესაბამისად უცხოური ვალუტით გაცემული სესხებით ვადაგადაცილებული დავალიანება რამდენადმე აღემატება ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებით ვადაგადაცილებულ დავალიანებას, რომლის ოდენობაც 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენს 12,9 მლნ ლარს და 4,7 მლნ ლარს. კომერციული ბანკების სესხების პორტფელის სტრუქტურულიდან ხვედრითი წილის 74 პროცენტი მოკლევადიან კრედიტებზე მოდის, 18 პროცენტი - გრძელვადიან სესხებზე, ხოლო დარჩენილი 8 პროცენტი - ვადაგადაცილებულ სესხებზე.



კომერციული ბანკების მიერ 1999 წლის განმავლობაში როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი 1999 წლის ბოლომდე თანმიმდევრულად იცვლებოდა შემცირების მიმართულებით. ამასთან, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე რამდენადმე აღემატება ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებს.



შემცირების ტენდენციის მიუხედავად, სესხებისათვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ მაღალი რჩებოდა - წლიური 26-27 პროცენტის დონეზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ეკონომიკური აგენტების მიერ კრედიტების მოთ-

ხოვნას, აბრკოლებს სამეწარმეო საქმიანობის და თვით ბანკების განვითარებას.


1999 წელს კვლავ შეზღუდული იყო საბანკო სისტემის როლი საშუაშედილო ოპერაციების განხორციელებაში, რაც განაპირობა:

- მეურნე სუბიექტების დანაშოგების ბანკებს გარეთ განთავსების ალტერნატიული საშუალებების არსებობამ;

- კომერციული ბანკების საერთო რაოდენობაში მცირე, 4 მლნ ლარამდე კაპიტალის მქონე ბანკების მაღალმა ხვედრითმა წილმა, რის გამოც შეზღუდული იყო მათი ოპერაციების მოცულობა;

- მოსახლეობის დაბალმა ნდობამ ეროვნული ვალუტის მიმართ. აღნიშნულ გარემოებას ნათლად ასახავს ფართო ფულის და დეპოზიტების სტრუქტურა. ფართო ფულის ზრდამ უცხოური ანაბრების გარეშე (M2) 25 მლნ ლარი, ხოლო უცხოური ანაბრების ჩათვლით (M3) 76 მლნ ლარი შეადგინა.

უცხოური ანაბრების გარეშე ფულის მასის ზრდა მთლიანად განპირობებული იყო ბანკებს გარეთ არსებული ფულის 32 მლნ ლარით ზრდით, ეროვნულ ვალუტით დეპოზიტების 7 მლნ ლარით შემცირების გათვალისწინებით.



დეპოზიტები ეროვნული ვალუტით 1999 წლის იანვრიდან მასამდე შემცირების, ხოლო მაისიდან ოქტომბრამდე ზრდის ტენდენციას ინარჩუნებდა, შემდეგ ორ თვეში მათი დონე შესაბამისად 2 მლნ და 3 მლნ ლარით შემცირდა, რაც დაკავშირებული იყო აღნიშნულ თვეებში აშშ დოლარის მიმართ ლარის გაუფა-

სურებასა და შედარებით ხშირ საკურსო რყევებთან. საპირისპირო ტენდენცია განვითარდა უცხოური ვალუტით დეპოზიტების მოზიდვის სფეროში, რომელსაც წლის დასაწყისთან შედარებით ოქტომბრამდე ყოველ თვეში თითქმის საშუალოდ 3,5 მლნ აშშ დოლარით ზრდა ახასიათებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ ოქტომბერ-ნოემბერში ივლის-სექტემბერთან შედარებით რამდენადმე გაუარესდა, უცხოური დეპოზიტები ოქტომბერ-ნოემბერში სექტემბერთან შედარებით შემცირდა, მან მხოლოდ დეკემბერში აღიდგინა ზრდის ტენდენცია და წლის ბოლოსათვის მიაღწია აგვისტოში არსებულ დონეს - 82,4 მლნ აშშ დოლარს.

დეპოზიტების დოლარიზაციის შედეგად, რომლის კოეფიციენტი წლის დასაწყისთან შედარებით 10,3 პუნქტით გაიზარდა, M2 ფულის მულტიპლიკატორი წლის დასაწყისთან შედარებით შემცირდა 0,1 პუნქტით, ხოლო M3 ფულის

მულტიპლიკატორი გაიზარდა 0,02 პუნქტით.

დეპოზიტების არსებული სტრუქტურის ჩამოყალიბებას თვით ბანკებიც უწყობდნენ ხელს მათ მიერ განხორციელებული საპროცენტო პოლიტიკით.

1999 წლის ბოლოს ეროვნული ვალუტით 3 თვემდე ვადით მოზიდულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი რამდენიმე პუნქტით ნაკლებია უცხოური ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე, ხოლო 3-დან 12 თვემდე მოზიდულ დეპოზიტებზე - პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მცირდებოდა, მათი ღონე დეპოზიტებისთვის დადგენილ საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო. მარჯა ეროვნული ვალუტით მოზიდულ თანხებსა და გაცემულ სესხებს შორის 20%-ის ფარგლებში მერყეობდა.

3.2. საბანკო საქმიანობის რეგისტრაცია და ლიცენზირება

1999 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკში სტრუქტურული რეორგანიზაციის განხორციელების შედეგად ბანკების ზედამხედველობის სამმართველოს და ლიცენზირების სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველო. მათი გაერთიანება მიზნად ისახავდა საბანკო საქმიანობის ლიცენზირების და რეგულირების კავშირურთიერთობის კონტექსტში ლიცენზირების და ზედამხედველობის გაუმჯობესებას.

რეორგანიზაციის შემდგომ პერიოდში შესწავლილ იქნა კომერციული ბანკების და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ლიცენზირების მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობა. აღნიშნულ ღონისძიებას წინ უსწრებდა ფიზიკური და არასაბანკო იურიდიული პირების ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებისა და მათი საქმიანობის რეგულირების შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 29 იანვრის N4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის სამოქმედოდ შემოღება, რომელშიც მცირე ცვლილებები იქნა შეტანილი ეროვნული ბანკის 1999 წლის 15 ივლისის N171 ბრძანებით.

აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, 1999 წელს გაცემულია 134 ლიცენზია, მათ შორის ფიზიკური პირებისათვის - 93 და არასაბანკო იურიდიული პირებისათვის - 41. ფიზიკურ და არასაბანკო იურიდიულ პირებს 10 შემთხვევაში აღნიშნული ინსტრუქციით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის უარი ეთქვათ ლიცენზირებაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 26 ოქტომბრის N262 ბრძანების შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით შეიცვალა საბანკო ლიცენზიის და ვალუტის გადამცე-

ლელი პუნქტების ლიცენზიის ფორმები.

1999 წლის განმავლობაში საბანკო ლიცენზია მიეცათ უცხოური კაპიტალის მონაწილეობით დაფუძნებულ სს საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკს, სს საქართველოს აგრობიზნესბანკს და აზერბაიჯანის კავკასიის განვითარების ბანკის თბილისის ფილიალს.

1999 წელს გაიცა კომერციული ბანკების 16 ფილიალის გახსნის ნებართვები.

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1998 წლის 10 სექტემბრის N84 ბრძანებით დამტკიცებულ საბანკო ლიცენზირების წესებთან კომერციული ბანკების იურიდიული დოკუმენტაციის შესაბამისობისა და მათ მიერ ყველა ცვლილების ამსახველი დოკუმენტების დროულად წარმოდგენის კონტროლი.

შემუშავდა ლიცენზიაჩამორთმეული კომერციული ბანკების ანგარიშგების ფორმები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება ყოველ-

თვიური ანალიზი და სალიკვიდაციო საქმიანობის წარმოების კონტროლი.

საანგარიშგებო წლის ბოლოს ლიკვიდაციის პროცესში იმყოფებოდა 23 ლიცენზიაჩამორთმეული კომერციული ბანკი.

1999 წელს საბანკო ლიცენზია გამოეთხოვა 9 კომერციულ ბანკს და უცხოეთის ბანკის 1 ფილიალს. ესენია:

1. შპს საინვენსტიციო სავაჭრო ბანკი
2. შპს ელდორადო
3. შპს ქართულ-იტალიური ინდუსტრიაბანკი
4. შპს მონოლითი
5. შპს თბილნვესტბანკი
6. სს ოლიმპი
7. სს მაგისტრალბანკი
8. შპს ჯორჯიანინვესტბანკი
9. სს ტრანსკავკასია
10. აზერბაიჯანის ერთობლივ კ/ბ კავკასიის განვითარების ბანკის თბილისის ფილიალი.

აქედან თვითლიკვიდაცია გამოაცხადა სს მაგისტრალბანკმა და შპს ჯორჯიან-ინვესტბანკმა .

1999 წელს ლიკვიდაცია დასრულდა და საბანკო რეესტრიდან ამოღებულ იქნა 3 ბანკი.

1999 წელს სასამართლო ორგანოებს წარედგინათ და ლიკვიდატორი დაინიშნა შპს საინვენსტიციო სავაჭრო ბანკში , შპს ქართულ-იტალიური ინდუსტრია-ბანკში , შპს მონოლითში , შპს თბილნვესტბანკში , სს ოლიმპში , სს მაგისტრალბანკში . რაც შეეხება შპს ელდორადოს , ლიკვიდატორის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება შეჩერდა სასამართლოში ბანკის მიერ ლიცენზიის ჩამორთმევის კანონიერების შესახებ სარჩელის შეტანის გამო.

საქართველოს ეროვნული ბანკის 25 ოქტომბრის N63 და N64 განკარგულებებით კ/ბ პირამიდა და კ/ბ კოლხიდა გამოცხადდნენ გადახდისუუნაროდ და საქართველოს ეროვნული ბანკის წარდგინებით ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის

რაიონულ სასამართლოს 5 ნოემბრის დადგენილებით ბანკებში დაინიშნენ ლიკვიდატორები.

3.3. საბანკო ზედამხედველობა

1999 წელს გრძელდებოდა საბანკო ზედამხედველობის სისტემის დახვეწა და სრულყოფა. კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების მიზნით საანგარიშგებო წელს უზრუნველყოფილ იქნა პირობები საბანკო რისკების შესაზღუდავად საზედამხედველო მოთხოვნების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისათვის.

ყურადღება ექცეოდა როგორც ბანკების ადგილზე შემოწმებას, ისე ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი ანგარიშგებების CAMEL-ის სისტემით ანალიზს.

შემოწმება წარმოებდა ორგანიზებულიად საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 14 მაისის N110 ბრძანებით დამტკიცებული განრიგით.

შემოწმდა 32 კომერციული ბანკი. სულ წლის განმავლობაში დასრულდა 46 შემოწმება, მათ შორის, ერთი თემატური, ხოლო ერთ შემთხვევაში გამოყვანილი არ იქნა კომპოზიციური რეიტინგი.

1999 წლის განმავლობაში საბანკო ზედამხედველობის სრულყოფის მიზნით მიმდინარეობდა CAMEL-ის სისტემით კომერციული ბანკების მუშაობის შედეგების ანალიზი ყოველკვარტალურად, რომელიც ძირითადად ეფუძნება ბანკების მიერ წარმოდგენილ ანგარიშგებებს. დაიხვეწა და გაუმჯობესდა CAMEL-ის რეიტინგის ამსახველი ფორმა და შედეგად სრულყოფილი გახდა ბანკების საფინანსო მდგომარეობის ანალიზი.

წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედი თითოეული კომერციული ბანკის მიმართ 4-ჯერ ჩატარდა გარესაბანკო შემოწმება და შედეგების გათვალისწინებით მიღებულ იქნა ზომები.

საბანკო სისტემაში არსებული დარღვევების ხარისხის გათვალისწინ-

ნებით გამოიყენებოდა შესაბამისი სანქციები. კერძოდ, ბანკებს გაეგზავნათ წერილობითი გაფრთხილება, აგრეთვე ინსტრუქციები შემდგომში დარღვევების დაუშვებლობის მოთხოვნებით, ამასთან, ცალკეული ბანკები დაჯარიმდნენ.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შეუვსებლობის გამო 364606 ლარით დაჯარიმების ფაქტი აღინიშნა, ღია სავალუტო პოზიციის დარღვევისათვის კი - 179347 ლარით.

საბანკო სისტემის განმტკიცების და მასთან დაკავშირებით რეფორმების გაღრმავების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი საანგარიშგებო წლის განმავლობაში აგრძელებდა ნორმატიული ბაზის შემდგომი სრულყოფის სამუშაოებს. კერძოდ, შემუშავდა ბანკების შერწყმის თაობაზე ნორმატიული დოკუმენტი.

გადაწყდა კომერციული ბანკების მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მინიმალური კაპიტალის

მოთხოვნის ირგვლივ წარმოშობილი იურიდიული დავა.

მომზადდა და ეროვნული ბანკის 1999 წლის 30 ივლისის N189 ბრძანებით დამტკიცდა CAMEL-ის სისტემით გარესაბანკო შემოწმების დასკვნის სახელმძღვანელო და CAMEL-ის გარესაბანკო რეიტინგის ცხრილი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კომერციული ბანკების საქმიანობის ყოველკვარტალური შემოწმების ხარისხის ამაღლებას და შესაბამისად საბანკო სისტემის ზედამხედველობის პროცესის სრულყოფას.

1999 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის და რეგულირების წესები და მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა მის დასანერგად როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოში, ისე კომერციულ ბანკებში. ამ წესების შემოღებამ სრულყო კაპიტალის ცნება, რომელიც განისაზღვრა ზედამხედველობის სპეციფიკიდან გა-

მიმდინარე და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

ამავე წესით დაინერგა სრულიად ახალი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ცნება, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს კომერციული ბანკების აქტივების მგრძობელობა საკრედიტო რისკის მიმართ. ეს ორი ეკონომიკური პარამეტრი სრულყოფილად წარმოაჩენს ბანკებისათვის საბაზისო და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს - კაპიტალის საკმარისობას. აღნიშნული დოკუმენტით მთლიანად საბანკო სისტემის და თითოეული კომერციული ბანკის საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გარკვეულწილად მკაცრდება საზედამხედველო მოთხოვნები.

დასრულდა და 1999 წლის 1 იანვრიდან დაინერგა კომერციული ბანკების მიერ წარმოსადგენი აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანგარიშგების ახალი ფორმები, რომელიც უფრო სრულყოფილად და დეტალურად წარმოაჩენს ბანკის საქმიანობას და საფინანსო

შედევებს. იძლევა ბანკების მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზის გაღრმავების და შეფასების საშუალებას.

ბანკების ზედამხედველობის გაძლიერება-სრულყოფის მიზნით შემუშავდა დოკუმენტი ბანკების ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 იანვრიდან და წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა მის დასანერგად. იგი ეხება ეროვნული ბანკის მიერ გასატარებელი ღონისძიებების წარმოებას იმ კომერციული ბანკების მიმართ, რომელთა საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაშიც შეიმჩნევა უმნიშვნელო ან მნიშვნელოვანი ხარვეზები და პრობლემები.

მიმდინარეობს მუშაობა ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების სრულყოფაზე, როგორცაა სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების წესი, ასევე ლიცენზიაჩამორთმეული ბანკების ლიკვიდაციის წესი, რომლებიც მნიშვნელოვნად იქნება განსხვავებული ძველისაგან და მათი

შემოღებით შესაძლებელი გახდება საბანკო აქტივების უფრო სრულ-

ყოფილად შეფასება და ლიკვიდაციის პროცესის კონტროლი.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და პერსონალი

1999 წელს ეროვნული ბანკის საქმიანობა პერსონალთან მუშაობის დარგში წარმართებოდა ქვეყანაში მიმდინარე მმართველობითი სტრუქტურის რეფორმების მოთხოვნათა შესაბამისად. საკადრო მუშაობის ძირითადი მიმართულებები და არსებული პრობლემების გადაჭრის გზები ძირითადად განისაზღვრა იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 13 მარტის N101 ბრძანებულებით დამტკიცებულ ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებაში კადრების შერჩევისა და მათთან მუშაობის სახელმწიფო სისტემის სრულყოფის პროგრამაში .

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა

და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულდა პერსონალის შერჩევის მექანიზმის სრულყოფისა და არსებული კადრების შეფასების სისტემის შემუშავებისათვის. ამ მიზნით ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით ჩამოყალიბდა ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების წამყვანი სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს თბილისის საბანკო სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტებთან ერთად. სამუშაოს დასრულება დაგეგმილია 2000 წლის პირველი ნახევრისათვის.

პროფესიული სწავლების სხვადასხვა ფორმაში მონაწილეობა მიიღო

121-მა თანამშრომელმა. მათ შორის საზღვარგარეთის სასწავლო ბაზებში - 73-მა. ეროვნული ბანკის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორები ტრეინინგის სფეროში არიან: ვენის გაერთიანებული ინსტიტუტი, ინგლისის ბანკი, საფრანგეთის ბანკი, ნიდერლანდების ცენტრალური ბანკი, ლოიჩე ბუნდესბანკი და რუსეთის ცენტრალური ბანკი.

გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა და დაიხვეწა თანამშრომელთა ადგილზე მომზადების ფორმები.

ეროვნული ბანკის აპარატში ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი სემინარი.

საზღვარგარეთის ბანკებიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა ჩაატარეს სემინარების ციკლი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ეროვნული ბანკის 50-ზე მეტმა თანამშრომელმა.

საანგარიშგებო წელს ორგანიზებული იყო თანამშრომელთა კომპიუტერული სწავლების ჯგუფი, აგრეთვე ინგლისური ენის კურსები.


გასულ წელს დასრულდა პერსონალის სამმართველოს სამუშაო უბნების მთლიანი კომპიუტერიზაცია.

1999 წელს მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნული ბანკისა და ლატვიის ცენტრალური ბანკის პერსონალის სამმართველოებს შორის თანამშრომლობას.

1999 წელს ძირითადად დასრულდა ეროვნული ბანკის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის სამუშაოები. დაიწყო მუშაობა დაქვემდებარებული დაწესებულებების სტრუქტურული რეორგანიზაციისათვის. ეროვნული ბანკის საბჭომ დაამტკიცა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ახალი დებულებები.


კადრების მიღების მექანიზმის სრულყოფის, აგრეთვე მათთვის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში მუშაობის ამოცანების კონკრეტულად განსაზღვრისათვის დადებითი როლი შეასრულა თითოეული თანამშრომლის სამუშაოს აღწერილობის შედგენამ, რომელიც შესრულდა საქართველოს

სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების გათვალისწინებით.



1999 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნულ ბანკში და მის დაქვემდებარებულ დაწესებულებებში ირიცხებოდა 560 სამტატო თანამდებობა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 24-ით ნაკლები. სულ მომუშავეთა შორის - 363 ანუ 64,8% მოხელეა. ეროვნული ბანკის სისტემა დაკომპლექტებულია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით - 77%, რაც 8%-ით მეტია 1998 წელთან შედარებით. ეროვნული ბანკის აპარატში მოხელეთა თანამდებობებზე მომუშავეთა შორის 95% უმაღლესი განათლებითაა. საანგარიშო პერიოდში სამუშაოდან გათავისუფლდა 74 კაცი,

მათ შორის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით - 68. სამუშაოზე მიღებულია 59, მათ შორის 42 მოხელე. მიღებულთა შორის 48% 30 წლამდე ასაკისაა, საანგარიშო წლის ბოლოს მომუშავეთა საერთო რიცხოვნობის 24% 30 წლამდე ასაკის იყო, 60 წელზე ზევით ასაკისაა 28 კაცი ანუ თანამშრომელთა რიცხოვნობის 5%. ეროვნული ბანკის მუშაკთა საშუალო ასაკია 39 წელი. 1999 წელს ეროვნული ბანკის აპარატში დაწინაურდა 40 თანამშრომელი, რომელთა საშუალო ასაკი 33 წელია.



5. საბანკო სისტემის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება

საქართველოს ეროვნული ბანკი 1999 წელს განაგრძობდა მუშაობას ფულად-საკრედიტო და სავალუტო რეგულირების, ბუღალტრული აღრიცხვისა და საბანკო ზედამხედველობის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების გამო-საცემად.

1999 წელს მომზადდა 77 სამართლებრივი აქტი. მათ შორის 15 რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში. ესენია:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 15 იანვრის N3 ბრძანება საკრედიტო დაწესებულებებში საკასო ოპერაციების წარმოების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1998 წლის 24 ივლისის N66ა ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1999 წლის 15 იანვრის N1 ბრძანება უცხოური ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის დადგენის წესის შესახებ .

3. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 29 იანვრის N4 ბრძანება ფიზიკური და არასაბანკო იურიდიული პირების ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებისა და მათი საქმიანობის რეგულირების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის და ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის 26 თებერვლის N55/28 ერთობლივი ბრძანება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე .

5. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 18 მაისის N115 ბრძანება მეწარმე სუბიექტებისათვის საბანკო დაწესებულებებში შესაბამისი ბეჭდის გარეშე ანგარიშების გახსნის თაობაზე .

6. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 25 მაისის N124 ბრძანება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის ფულად ფორმაში მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ .

7. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 15 ივლისის N71 ბრძანება ფიზიკური და არასაბანკო იურიდიული პირების ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებისა და მათი საქმიანობის რეგულირების შესახებ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე .

8. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 2 სექტემბრის N220 ბრძანება საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ .

9. საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საანგარიშსწორებო, საკორესპონდენტო, სავალუტო, საბიუჯეტო, მიმდინარე და სხვა ანგარიშების (დროებითი, საკასო მომსახურების) გახსნის თაობაზე დროებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ .

10. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 27 სექტემბრის N242 ბრძანება საქართველოს ეროვნული ბანკის 1998 წლის 3 დეკემბრის N118 ბრძანებით დამტკიცებულ კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობის და რეგულირების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ .

11. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 26 ოქტომბრის N262 ბრძანება საბანკო და ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის ლიცენზირების ფორმების დამტკიცების შესახებ .

12. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 1999 წლის 22 ოქტომბრის N27 დადგენილება საქართველოს ეროვნული ბანკის

საბჭოს 1998 წლის 27 ნოემბრის N15 დადგენილებით დამტკიცებულ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დეკადურად გამოანგარიშების და გადახდის წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე .

13. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 1999 წლის 10 დეკემბრის N28 დადგენილება ეროვნული ვალუტის 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ღირებულების ახალი მოდიფიკაციის ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვების შესახებ .

14. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 17 დეკემბრის N314 ბრძანება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ლომბარდული კრედიტის გაცემისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე .

15. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 31 დეკემბრის N328 ბრძანება სალაროს მეურნეობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე .

საანგარიშგებო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა

საბანკო კანონმდებლობის სრულყოფისა და დახვეწის მიზნით, მომზადდა ეროვნული ბანკის ორგანული კანონისა და კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შესახებ საქართველოს კანონის პროექტები, რომლებიც უახლოეს პერიოდში წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

ასევე მომზადდა ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტი, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 13 მაისს.

მომზადდა კანონპროექტი ქვეყანაში ფაქტორინგული და ლიზინგური ოპერაციების შესახებ , რომელიც წარედგინა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას მისი განხილვის შემდეგ საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად.

მიმდინარეობდა მუშაობა კომერციულ ბანკებში დეპოზიტების დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებაზე. შემუშავებულია მისი რამდენიმე ვარიანტი. საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებთან, ასევე ბანკების ასოციაციის სპეციალისტებ-

თან მათი შეჯერების შემდეგ, ამორჩეული იქნება მათგან უფრო მისაღები ვარიანტი, რომელსაც საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესის გათვალისწინებით მიეცემა სათანადო მსვლელობა.

6. საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა აუდიტი

შიდააუდიტორული სამსახურის საქმიანობა საანგარიშგებო წელს ხორციელდებოდა დამტკიცებული გეგმით, რომლის მიხედვითაც ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის და მისი დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესრულების კონტროლზე.

1999 წელს ჩატარდა 14 შემოწმება ეროვნული ბანკის სტრუქ-

ტურულ ქვედანაყოფებსა და განყოფილებებში. შემოწმების მასალებით დადგინდა, რომ ეროვნული ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფები და ეროვნული ბანკის განყოფილებები ძირითადად ასრულებენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიულ დოკუმენტებს.

ამასთან, შემოწმებამ გამოავლინა ნაკლოვანებებიც. შესაბამისად სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის თაობაზე გამოიცა ბრძანებები.

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ყურადღება ექცეოდა შიდააუდიტორული სამსახურის მუშაკების პროფესიული დონის ამაღლებას. ამ მიზნით წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა სწავლების სხვადასხვა ფორმები. პრაქტიკაში დაინერგა შიდააუდიტორული სამსახურის მუშაკების მონაწილეობა ეროვნული ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ თათბირზე, ასევე ტექნიკური სწავლება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტების შესწავლის მიზნით. სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების შიდააუდიტორული სამსახურების გამოცდილების გაზიარების მიზნით დამყარდა მათთან კავშირი და დაიწყო მათგან მიღებული ინფორმაციის გაცნობა. შესაბამისად

შემუშავდა სხვადასხვა მეთოდოლოგიური მასალები.

შიდააუდიტორული სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ სხვადასხვა სემინარში. მათ შორის ხუთმა მუშაკმა კვალიფიკაცია აიმაღლა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვენის გაერთიანებული ინსტიტუტის, ინგლისის ცენტრალური ბანკისა და გერმანიის დოიჩე ბუნდესბანკის მიერ მოწყობილ სემინარებში. გარე აუდიტორების შენიშვნების რეალიზაციის გათვალისწინებით, გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შემოწმების ხარისხი.

7. საქართველოს საგადამხდელო სისტემის მდგომარეობა

7.1. საგადამხდელო სისტემის განვითარება და სრულყოფა

1999 წელს ანგარიშსწორებაში მონაწილე მხარეთა საანგარიშსწორებო მომსახურების ეფექტიანობისა და საიმედოობის ამაღლების მიზნით, გრძელდებოდა საგადამხდელო სისტემის შემდგომი სრულყოფა, რომელიც მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის და კომერციული ბანკების საგადამხდელო სისტემას.

ამ სფეროში საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იყო ანგარიშსწორების, ასევე ანგარიშთა გეგმის შემდგომი მოდერნიზაცია, საბანკო ტექნოლოგიის სრულყოფა, კომერციული ბანკების მომსახურების დონის ამაღლება და ლიკვიდურობის მართვის სფეროს პირობების შექმნა.

წლის განმავლობაში განხორციელდა მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული სამუშაოები, შეიქმნა დროის რეალურ რეჟიმში მომუშავე ანგარიშსწორების თანამედროვე ავტომატიზებული სისტემა, 2000 წელს მონტრანის დანერგვისათვის პირობები.

1999 წლიდან მონტრანის სისტემის ამოქმედების 2000 წლისათვის გადავადების გამო, რაც მთლიანად მისი განმახორციელებელი კორპორაცია მონტრანის მიზეზითაა განპირობებული, ქვეყნის შიდა ანგარიშსწორებისა და ოპერაციული დღის დამუშავების მოქმედმა სისტემებმა ფუნდამენტალური ცვლილებები განიცადა, რასაც მიმდინარე მოთხოვნებიდან გამომდინარე დაემატა ახალი ფუნქციონალობები.

სახელდობრ, სისტემას დაემატა გადამხდელებისთვის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება ერთი ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე გადატანის და ინსპექციის კუთვნილი

პრემიების თანხების სპეცანგარიშზე ჩარიცხვის ოპერაციები. ძალაში შევიდა დღის განმავლობაში პრაქტიკულად შეუზღუდავი რაოდენობით ინფორმაციის სენსებად დამუშავების ტექნოლოგია.

აღნიშნულმა მეთოდმა, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვის დაჩქარებას, მეორე მხრივ, საფუძველი ჩაუყარა საბანკო სისტემის ინფორმაციის დამუშავების დროის რეალურ რეჟიმთან მიახლოებას.

2000 წლის დადგომასთან დაკავშირებით კომპიუტერულ და სხვა სისტემებში მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად უცხოელ ექსპერტებთან ერთად განხორციელდა საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ძირითადი ოპერაციული სისტემის ექსპერტიზა, მისი ტესტირება და ტესტირების შედეგად წარმოქმნილი შეცდომების აღმოფხვრა.

1999 წლის თებერვლიდან საქართველოში მუშაობა დაიწყო პროექტმა საქართველოს საბანკო

სისტემაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით, რომელსაც აფინანსებს ევროგაერთიანება. პროგრამას ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული ბრიტანული ფირმა დეველოფმენტს პარტნერშიპსი, შექმნილია პროექტის საბჭო და 6-კაციანი დამნერგავი სამუშაო ჯგუფი, მათ შორის 3 - ეროვნული ბანკის თანამშრომელია.

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკი ინტენსიურად მუშაობდა ჰოლანდიური ფირმა დელოიტე ენდ ტუშის მიერ მომზადებული ახალი ოთხნიშნა ანგარიშთა გეგმის პროექტის სრულყოფაზე. მომზადდა და გასული წლის ივნისში კომერციულ ბანკებს დაეგზავნათ ანგარიშთა გეგმის პროექტის შესწორებული ვარიანტი, ასევე ძველი და ახალი ანგარიშების შესაბამისობის მატრიცა, ხოლო ნოემბერში კომერციულ ბანკებს დაეგზავნათ ანგარიშთა გეგმის ბუღალტრული პროცედურები.

გარკვეული კრიტერიუმების დაცვით 1999 წლის დასაწყისში შეიქმნა პროექტში მონაწილე 10 კომერციული ბანკი. ოქტომბერში სემინარები ჩატარდა დანარჩენ ბანკებს, რომელთაც განემარტათ პროექტის აქტუალობა და გადაეცათ ყველა საჭირო მასალა.

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში კომერციულ ბანკებს ჩატარდათ 4 სემინარი, 13-ჯერ გაიმართა პროექტის საბჭოს სხდომა, რომელიც კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს პროექტის მიმდინარეობას.

სახელმწიფო და ტერიტორიული ბიუჯეტების შემოსავლების აღრიცხვის, ანალიზის და პროგნოზირების სრულყოფის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შემუშავდა და დაინერგა ეკონომიკის დარგების მიხედვით მისი აღრიცხვა.

7.2. საემისიო-საკასო სამუშაოების ორგანიზაცია

საემისიო-საკასო სამუშაოების ორგანიზაცია 1999 წელს მიზნად ისახავდა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად ნაღდი ფულის შეუფერხებლად მიმოქცევას და რეგულირებას.

ამ თვალსაზრისით წლის განმავლობაში ყურადღება ექცეოდა:

- საკასო სამუშაოებთან დაკავშირებით ნორმატიული ბაზის განვითარებას და სრულყოფას;

- სალაროს ოპერაციების წარმოების წესების შესრულების კონტროლს;

- ვალუტის საგადამცველო საქმიანობის მოწესრიგებას;

- საემისიო საქმიანობის სრულყოფას.

წლის განმავლობაში მიღებულ იქნა მთელი რიგი ნორმატიული აქტებისა, რომლებიც არეგულირებს ნაღდი ფულთან დაკავშირებულ საქმიანობას. კერძოდ:

1. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 იანვრის N16 ბრძანებულებით დამტკიცებული დებუ-

ლება მიმოქცევისათვის უვარგისი ფულის ნიშნების საკონტროლო გადათვლა-განადგურების დროებითი საგანგებო კომისიის შესახებ .

2. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 29 იანვრის N4 ბრძანებით დამტკიცდა ინსტრუქცია ფიზიკური და არასაბანკო იურიდიული პირების ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებისა და მათი საქმიანობის რეგულირების შესახებ .

3. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 10 მარტის N37 ბრძანებით დამტკიცდა დებულება ეროვნული ბანკის სისტემაში სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ .

4. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 31 მარტის N59 ბრძანებით დამტკიცებული დებულება საიუბილეო მონეტების ესკიზების განხილვის, შერჩევისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით შექმნილი სპეციალური კომისიის შესახებ .

5. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 31 დეკემბრის N328 ბრძანებით დამტკიცებული დებულება სალაროს მეურნეობის შესახებ .

სალაროს ოპერაციების წარმოების წესების შესრულების კონტროლის მიზნით საანგარიშგებო წლის განმავლობაში შემოწმდა 32 კომერციული ბანკი, კომერციული ბანკების 81 ფილიალი და 39 კვანძარეთა სალარო, ასევე უმეტესწილად 2-3-ჯერ - ეროვნული ბანკის განყოფილებები.

სალაროს მეურნეობის წარმოების საქმეში არსებული დარღვევების ხარისხის გათვალისწინებით მიღებულ იქნა სათანადო ზომები.

შემოწმების შედეგად ეროვნული ბანკის ზუგდიდის განყოფილებაში გამოვლინდა დიდი ოდენობით თანხების დატაცების ფაქტი. გამომწვევი მიზეზების შესწავლის შემდეგ ზუგდიდის განყოფილებას შეუჩერდა ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები. განყოფილების მმართველი, მთავარი ბუღალტერი და

მოლარე გათავისუფლებული არიან თანამდებობიდან და მათ მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

საქართველოს ეროვნული ბანკი წლის განმავლობაში მუშაობას წარმართავდა ბანკის გარეთ მოქმედი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ლეგალიზაციისა და ამ სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით.

განხორციელდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების პასპორტიზაცია, დაინერგა მათ მიერ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის აღმწესხველი ანგარიშგება. ამასთან, ამ უბანზე წესრიგის დამყარებას ხელს უშლის დაახლოებით 800-მდე ლიცენზიის არმქონე პუნქტის ფუნქციონირება, რომელთა საქმიანობის აღკვეთაც სამართალდაცვის ორგანოების პრეროგატივაა.

საანგარიშგებო წლის განმავლობაში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა ყალბი ფულის მოჭრისა და გავრცელების წინააღმდეგ. კერძოდ:

- მომზადდა პროექტი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის შესაბამისადაც საქართველოს პარლამენტმა შეიტანა ცვლილება კოდექსში;

- საბანკო დაწესებულებების, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა გადამცვლელი პუნქტების სალაროს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სწავლება ჩაუტარდა და მომზადდა 458 სალაროს მუშაკი. გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები.

1999 წლის განმავლობაში გამოვლინდა 2238 ცალი 50 თეთრის ღირებულების ყალბი მონეტა თანხით - 1119 ლარი, 2 ცალი 20 თეთრის ღირებულების ყალბი მონეტა, 258 ცალი ყალბი ლარის ბანკნოტი - თანხით 2208 ლარი, 21 ცალი ყალბი აშშ დოლარი - თანხით 2000 აშშ დოლარი, 2 ცალი ყალბი ინგლისური გირვანქა სტერლინგი თანხით 100 გირვანქა-სტერლინგი.

შესრულდა შრომატევადი სამუშაოები ახალი მოდიფიკაციის ბანკნოტების გამოშვებასა და მათ მიღება-დაბინავებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა მუშაობას ახალი სახის მექანიზაციის და ავტომატიზაციის საშუალებათა დასანერგად და ნაღდი ფულის დასამუშავებლად, ასევე მიმოქცევიდან ამოღებული ფიზიკურად მოძველებული ფულის განადგურებისა და უტილიზაციისათვის.

შემუშავდა გამოყენებისათვის უვარგისი ეროვნული ვალუტის ბანკნოტებისა და ფასიანი ქაღალდების განადგურების წესები. ამჟამად გადათვლილია 254773000 ლარი (42299 კონა, მთლიანი მასის 80%).

დიდი ყურადღება დაეთმო ეროვნული ბანკის სისტემაში ფასეულობის გადაზიდვებზე უსაფრთხოების გაძლიერების მიმართებით მუშაობას.

საანგარიშგებო წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტექნიკური საშუალებების პარკი. შეძენილ იქნა და დამონტაჟდა დამთვლელ-დამხარისხებელი მოწყობილობა, ბანკნოტების ნამდვილობის დამდგენი მოწყობილობა,

ფასეულობის შენახვის და გადაადგილების საშუალებანი და სხვ.

ქრისტემობის 2000 წლისთავისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ:

- ნუმისმატიკური მუზეუმის აღდგენა-ჩამოყალიბების მიზნით მუზეუმში გამოსაფენად დამზადებულია 300-მდე ისტორიული მონეტის ასლი, შეგროვილია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დღემდე მიმოქცევაში მყოფი თითქმის ყველა ბანკნოტისა და მონეტის ნიმუში, 66 ქვეყნიდან მიღებულია მათ ტერიტორიაზე ბრუნვაში არსებული ფულის ნიმუშები და მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენი ქვეყნებიდან (დაახლოებით 50) მათ მისაღებად;

- გამოსაცემად მომზადდა კატალოგი ფული საქართველოში ;

- მიმდინარეობს მუშაობა ქრისტემობის 2000 წლისთავისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავის აღსანიშნავად

საიუბილეო 3 ისტორიული მონეტის - კოლხური თეთრის, დავით აღმაშენებლისა და თბილური ორაბაზიანის (ქართული თეთრის) - ასლებისა და მათი ჩასაწეობი კოლოფების დასამზადებლად;

- განხილვის პროცესშია ნუმიზმატიკურ თემაზე 2000 წლის კალენდრის შედგენა-გამოცემის საკითხი.

9. სტატისტიკური მონაცემები

- ცხრილი 1: მაკროეკონომიკური მაჩვენებლები -----
- ცხრილი 2: ფულად-საკრედიტო მაჩვენებლები -----
- ცხრილი 3: სარეზერვო ფულის მასის სტრუქტურა
და დინამიკა -----
- ცხრილი 4: ეროვნული ბანკის მიერ 1999 წელს ფინანსთა
სამინისტროსათვის გაცემული სესხები -----
- ცხრილი 5: ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკე-
ბისათვის მიცემული სესხებით დავალიანება
2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით -----
- ცხრილი 6: ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონი:
ყიდვა-გაყიდვა -----
- ცხრილი 7: საქართველოს ეროვნული ბანკის ბანკთაშორის საკრე-
დიტო რესურსების აუქციონებზე ვადების მიხედვით
დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების
დინამიკა 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით -----
- ცხრილი 8: თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე აშშ
დოლარით ვაჭრობის 1999 წლის შედეგები -----
- ცხრილი 9: საქართველოს კომერციული ბანკების საქმიან-
ობის ძირითადი მაჩვენებლები -----
- ცხრილი 10: მონაცემები კომერციული ბანკების მიერ კაპი-
ტალის დაჯგუფების მიხედვით ფულადი სახით
განაღებული საწესდებო ფონდის შესახებ
2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით -----
- ცხრილი 11: ფიზიკური პირების დეპოზიტების დინამიკა -----
- ცხრილი 12: კომერციული ბანკების მიერ გაცემული
სესხებით დავალიანება -----
- ცხრილი 13: კომერციული ბანკების სექტორი - ვადაგადა-
ცილებული სესხებით დავალიანება -----
- ცხრილი 14: 2000 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი კომერ-
ციული ბანკების ნუსხა -----
- ცხრილი 15: 1999 წელს საბანკო ოპერაციების წარმოების
ლიცენზიაჩამორთმეული ბანკების სია
2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით -----